345
1908
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი
ჟურნალი

## № VII, VIII

ივლისი და აგვისტო,

1908

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მ ი ნ ა ა რ ს ი

## ჟურნალ „ჯეჯილისა“

I ფერადი სურათი . . . . . . . . . ?
II ნეტარ ხსენებულ ილ. ჭავჭავაძის ხსოვნას ვ. ღვანკითელისა 3
III მოხუცებული კაცი და სიკვდილი ლევ ტოლსტოისა . 4
IV ცხენი და მისი პატრონები ლევ ტოლსტოისა . . . 5
V ხმა ქვესკნელიდან მენახშირის ნაამბობი . . . . 6
VI მონტო კრისტო ამბავი ლევ ლევის ძე ტოლსტოისა 10
VII ქალალდის ნაამბობი (ფრანგულით) შურასი . . . . 27
VIII ერთად სჯობია (ჟურავსკიდან) თარგმანი . . . . . . 33
IX უცნაური მსმენელები (ჟურავსკიდან) თარგმანი . . . 34
X მამისაგან მოძულებული შვილი ზღაპარი, ჩაწერილი
პ. მირიანაშვილის-მიერ . . . . . . . . . . . 36
XI პატარა კოლას ოცნება (გასართობი) ბ. . . . . . . 41
XII ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, ანა-
გრამა, შარადა . . . . . . . . . . . . . . 42
XIII მიხვედრილი ბავშვები ბიძასი . . . . . . . . . 45
XIV მგელი, თხა და ციკანი, კომედია ერთ მოქმედე-
ბათ (ფრანგულიდან) ან. წერეთლისა . . . . . . . 46
XV ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი, სურათით ს. გორგაძესი 56
XVI „კიბუნ-დეიზინ“ მოთხრობა იაპონიის განთქმულ მწე-
რლისა, ჯენზეი მურაისა. (გაგრძელება) ალ. ნათაძისა 62
XVII სახელმწიფო წოდება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთე-
ბულ შტატებში. ი. გომართლისა . . . . . . . . 71
XVIII გვალვა ლეგენდა გაგონილი ჯავახეთში ილია ალხა-
ზიშვილის-მიერ (დასასრული) . . . . . . . . . 76
XIX მანქანა მეფეა და შრომა ფული (დასრული) ა. ფ. . 81
XX ხსოვნას ვ. მ. პეტრიაშვილისა და ივ. რ. თარხნი-
შვილისას . . . . . . . . . . . . . . . . . 86
XXI ბუნების ლექსიკონი ილია ალხაზიშვილის-მიერ . . 49

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯეჯილი

## საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

**№ VII, VIII**

ივლისი და აგვისტო, 1908

წელიწადი მეცხრამეტე

თფილისი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა", რუსსკაია ქუჩა, № 3.
1908



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ნ ე ტ ა რ  ხ ს ე ნ ე ბ უ ლ

**ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.**

(სიკვდილის შემდეგ ერთი წლის
შესრულების გამო).

დიდება შენს უკვდავ სახელს
პოეტთა მამა მთავარო,
ძველ და ახალი თაობის
შემქნელ მზევ ამომავალო.
შენ შთაუნერგე შენს ერსა
მამულის სიყვარულია,
და შენის ნაღვაწ-ნაშრომით
სამშობლო დანამულია.
და ჩვენ-კი მადლობის ნაცვლათ
ტყვიით გაგიპეთ გულია,
და ეხლა გტირით, ცრემლებს ვღვრით
ისე ვით ნაკადულია.
და გვედრებით შეგვინდო
მოქცევა შხამ გესლიანი
თვით შენ ეჭვობდი ერთ დროსა,
„კაცია ადამიანი?“!!!

**ვარდენ ლვანკითელი.**

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოხუცებული კაცი და სიკვდილი

(ლევ ტოლსტოისა)

მოხუცებულმა კაცმა ერთხელ ტყეში შეშა მოსჭრა და მოჰქონდა. გზა შორი ედო; საშინლათ დაიღალა. შეშა ძირს დააგდო და წამოიძახა:

,,ნეტა სიკვდილი მოვიდეს! სხვა არა მინდა რა.

მართლაც სიკვდილი გამოეცხადა და უთხრა:

—აი, მეც აქა ვარ, რა გინდა?

მოხუცებულს შეეშინდა და უთხრა:

—არაფერი, მიშველე ამ შეშის აწევა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ცხენი და მისი პატრონები.

(ლევ ტოლსტოისა)

მებაღეს ერთი ცხენი ჰყავდა, ცხენს ბევრს ამუშავებდა და ცოტას აჭმევდა. დაუწყო ცხენმა ღმერთს ვედრება, სხვა პატრონი გამიჩინეო. სურვილი აუსრულდა. მებაღემ ცხენი ჭურჭლის გამკეთებელს მიჰყიდა. ცხენს გაეხარდა, მაგრამ მეჭურჭლემ მეტი საქმე გაუჩინა. ცხენმა ხელ ახლათ დაიწყო ბედზე ჩივილი და ღმერთს ევედრებოდა უკეთესი პატრონი გამიჩინეო. ღმერთმა თხოვნა შეისმინა, მეჭურჭლემ ცხენი მიჰყიდა მეტყავეს. ცხენმა ეზოში რომ დაინახა გამოფენილი ცხენების ტყავი გულ შემოეყარა:

,,ოჰ, რა უბედური ვარ, ნეტა ისევ წინანდელ პატრონებთან ვყოფილვიყავი. სამუშაოთ კი არ გამყიდეს — ჩემი ტყავი უნდა მოისმარონ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხმა ქვესკნელიდან



მენახშირეს ნაამბობი.

ქვა-ნახშირს, რომელსაც ჩვენა ვწვამთ, იღებენ მიწის სიღრმიდან. ჯერ თხრიან მიწის გულში დიდ ჭას და იქიდან გაჰყავთ მაღაროები კარგა შორ მანძილზე. მუშები შიგ ჩადიან თოკების წყალობით.

ერთ ამისთანა მღვიმეში, ამ ექვსი წლის წინეთ, ჩვენ სოფლის ახლოს ამერიკაში, მოხდა შემდეგი ამბავი:

ერთხელ, შუადღისას, მოირბინა მუშამ ჩვენ სოფელში, სადაც უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა მენახშირეების ცოლშვილნი იყვნენ და დაიყვირა:

— დიდი უბედურება მოხდა, ძმებო, მიწა ჩაწვა მღვიმეში და შესავალი ერთიანად ამოქოლა.

შეძრწუნებულნი გავიქეცით მღვიმეებისკენ, მაგრამ რას გავაწყობდით, თუ პირდაპირ, სადაც ჭის ჩასავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იყო, დავიწყობდით მიწის გათხრას ორ-სამ დღეზე მეტს მოუნდებოდით, სანამ რომელიმე მღვიმს მივადგებოდით. მღვიმეები მიწის ქვეშ სხვა და სხვა მხარეზე იყო თითო ვერსის მანძილზე. მერე ნიშნეულათ სად რომელ ადგილას დაგვეწყო მიწის აღება არავინ იცოდა. იქნება რამდენიმე დღეს გვემუშავნა და საბრალონი ვერ გვეპოვნა.

თავი მოიყარეს მენახშირეების ცოლ-შვილმა. ისინი ტიროდენ, ყვიროდენ, ლოცულობდენ... ყველა სასოწარკვეთილებას მიეცა...

მთელი ღამე ძილი არ მოგვკარებია, სიმწრის დილა გაგვითენდა. გაიარა მთელმა დღემაც, დადგა მეორე ღამე. აი, ამ ღამეს, რაღაც სასწაული მოხდა... შუაღამისას მოირბინა ჩვენთან ერთმა მუშამ ხვნეშით, ფერ წასულმა.

— ძმებო, წაიბუტბუტა მან, აი იქ, სამოც ნაბიჯზე აქედან, ქვესკნელიდან ყრუთ მოისმის გალობა. ძლივ ძლიობით ისმის ხმები, მაგრამ მიწას რომ დაადოთ ყური გაარჩევთ ხმებს.

ყველას თავით ფეხამდის ცახცახი დააწყებინა. საჩქაროთ მოვიგლიჯეთ ქუდები, დავიჩოქეთ და დავიწყეთ ლოცვა. უსათუოდ ჩვენები დაიხოცებოდენ კიდეც.

— ეს ხმა ქვესკნელიდან მოდის მათი სულები გალობენ, ღმერთის სავედრებელს. წამოიძახა ერთ ერთმა მუშამ და ყველას თვალები ცრემლებით აგვევსო.

ამ დროს წინ წამოდგა ერთი მოხუცი მენახშირე, თავი მაღლა აიღო და თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეგობრებო, საქმე სულაც ეგრე არ არი. ეს ჩვენი ძმა-კაცები გალობენ, რომ მიგვახვედრონ, რა ადგილასაც არიან. აიღეთ საჩქაროთ წერაქვები, სამტვრევები, ნიჩბები და შეუდგეთ მუშაობას.

ღმერთო ჩემო უნდა გენახათ როგორ ყველა გამოფხიზლდა. ვინც კი იყო აქ—ყველამ მოიტაცეს წერაქვები, ნიჩბები, გაიქცენ იქ, სადაც მუშამ უჩვენა და დაიწყეს მიწის თხრა. ჯერ მნახველი არ ვიყავი ამისთანა გულმოდგინე მუშაობისა. ყოველ მხარეს მიწის გორაკებიააყენეს და თითქო რაღაც სასწაულით ორმო მიწაში სულ ღრმათ და ღრმათ კეთდებოდა. თვით პატარა ბავშებიც კი ფაცურობდენ და თავიანთ პაწაწა ხელებით მიწას ჰჭრიდენ.

დილა დადგა, მაგრამ ჩვენ ისევ ისე ვმუშაობდით. მერე რა,— ხმები თან და თან გარკვევით მოგვესმოდა. ბოლოს ყველამ გავიგეთ სასოწარკვეთილებით სავსე გალობა... „ღმერთო შეგვიწყალე, ღმერთო გადაგვარჩინე უბედურებას“.

იმდენი ვიმუშავეთ, რომ შუადღისას გამოჩნდა ფიცრის ნაშენი. საჩქაროთ ჭერის კოჭები ავყარეთ და იმავ წამს გალობა უფრო გარკვევით მოისმა. რა ამბავი და რა სიხარული გვქონდა, ძნელი წარმოსადგენია.

ჩვენ ვქვითინებდით და ერთმანერთს ვეხვევოდით ნათესავებიც და უცნობებიც.

მერე ხელზე გადასვენებული, ცოცხალ-მკვდარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოიტანეს პატარა ქალი, რომელიც ჩვეულებრივ მუშებს უზიდავდა ხოლმე სადილს.

— მაგის წყალობით გადავრჩით. ღმერთმა ჩააგონა ჩვენი ხსნა ამბობდენ გარშემო მდგომი მუშები და სასოებით დასცქეროდენ საბრალო ბავშს... ჩვენ აღარაფრის იმედი არა გვქონდა, მოვემზადეთ სასიკვდილოთ. მაგან უცბათ დაიწყო ლოცვა და ხმა მაღლა გალობა. ამაზე ჩვენც მოვედით გონზე, დავიწყეთ გზის გაწმენდა და თან ხმა მაღლა ვგალობდით... თქვენ რომ არ გაგეგოთ ჩვენი გალობა, ვეღარც თქვენა გნახავდით და ვერც ცა და ქვეყანას.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მონტო—კრისტო *)

(ამბავი ლევ ლევის ძე ტოლსტოისა) *)



თითქოს ეს არი ახლა მოხდა ეს ამბავი, რომელიც მინდა გიამბოთ. მგონი იმიტომ უფრო დავიხსომე ასე ნათლად, რომ ძალიან სასიამოვნოთ დამრჩა ეს ამბავი. მეტათ კმაყოფილი ვიყავი ჩემი საქციელით.

სწორეთ ამ დღეს მე თორმეტი წლისა შევსრულდი. ჩემი დაბადების დღე იყო. მთელი ჩვენი ოჯახობა სოფელში ცხოვრობდა: მამა მამულს უვლიდა. დედა საოჯახო საქმეებს უძღვებოდა და ჩვენ, შვილებს, ყურს გვიგდებდა. ჩვენ სამნი ვიყავით: ორი და პატარა და მე მესამე.

აპრილი იდგა. საოცარი მშვენიერი თბილი და მშრალი ამინდი იყო. ამ დღეს ველოდი ჩემ ბიძაშვილებს, რომელნიც უსათუოდ მოვიდოდენ ჩემ მოსალოცათ. ესენიც ორნი იყვენ; ერთი ჩემი ხნისა იყო და მეორე ძმა—ცოტა იმაზე უმცროსი. მე ისინი ძალიან მიყვარდა და დიდი მეგობრები ვიყავით. უფროსი ძმა, სერიოჟა უფრო მეტათ მომწონდა, ჭკვიანი

*) სანადირო თოფი.

**) ეს ნაწერი ლევ ტოლსტოის შვილისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



და გონიერი იყო. ის ისე ძალიან მიყვარდა, რომ მეგონა—რასაც გააკეთებს ყველაფერი მოსაწონია და მივბაძავდი ხოლმე. როდესაც ჩვენ ვსტუმრებოდით იმათ, ერთად გავიდოდით ტყეში და სერიოჟა თავის მონტო-კრისტოს თოფით ხოცავდა ფრინველებს. მე ძალიან შემიყვარდა ამ ნაირი დროს გატარება და გავიფიქრე თოფის საყიდლად ფულის მოგროვება და შევუდექი კიდეც ამ საქმეს.

მთელი წლის განმავლობაში ვინახავდი იმ აბაზებს, რომელსაც დედა ჩემი გადაჭრით ყოველ თვეს მაძლევდა. გარდა ამისა შობის დღესასწაულში მაჩუქეს თუჯის მშვენიერი ყულაბი. ეს ყულაბი მიაგვანებოდა ხუხულას, რომლის კარებ წინ ძაღლი იყო მიბმული. პირში სინი ეჭირა. თუ ამ სინზე დასდებდით ვერცხლის ფულს და გვერდით მოატრიალებდით ტარს, ძაღლი შევიდოდა ყულაბში, გადისვრიდა ფულს და ყულაბის მეორე მხრიდან ისევ გამოვიდოდა. ეს საჩუქარი მივიღე შობის ხე რომ გვქონდა იმ ღამეს. სტუმრები ბევრი გვყავნდა და ყველა აგდებდა სინზე ფულს, ატრიალებდენ ტარს და ამითი დროს ატარებდენ. ძაღლი წამ და უწუმ აბნევდა ფულს ყულაბში. მე აღტაცებ-ში მოვდიოდი, როცა მესმოდა ფულის ჩხრიალი და გულში თან-და-თან სიხარბე მებადებოდა.

მე მინდოდა მქონოდა სულ მეტი და მეტი ვერცხლის ფული, მუდამ გამეგო მისი ჩხრიალი. მეტად ბევრ ფულს აბნევდა ყულაბში ერთი სქელი ქალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც გვეწვია შობის დღესასწაულებზე თავისი პატარა ქალიშვილით. ის წამ და უწუმ ამოიღებდა ქისიდან ვერცხლის ფულს და მატრიალებინებდა ყულაბის ტარს. მე დიდი სიამოვნებით ვასრულებდი, რასაც მეუბნებოდა, ის კი ტკბებოდა ცქერით, როცა სიხარბით აღელვებული თვალები მიბრწყინავდა როდესაც გახარებული ვაჩხრიალებდი ყულაბს, რომ შემეტყო ბევრი ფული მაქვს თუ არა, ის ქალი მომვარდებოდა და მკოცნიდა. რა ზიზღით ვიგონებ ახლა იმ ქალს, რადგან იმას სულაც არ უყვარდი, რომ მკოცნიდა ისე მაგრათ და ხშირათ, იმას ესიამოვნებოდა მხოლოდ ჩემი ცქერა, როდესაც თვალები მიბრჭყვიალებდა ფულის დანახვაზე. იმ ღამეს, ძილის წინეთ, ფული დავითვალე, ყულაბში აღმოჩნდა **3** მ. **65** კაპ. სიხარულით დიდხანს არ დამეძინა. თვალ წინ მეჩხირებოდა ბრჭყვიალა ვერცხლის ფული და მინდოდა მეტი და მეტი მქონოდა.

შობის ხის დღესასწაულ საღამოს მიღებულ ფულს მივუმატე წლის განმავლობაში გადადებული ფული და გაზაფხულზე მქონდა სულ **5** მ. და **85** კ. ახლა ვიფიქრე, ჩემ დაბადების დღეს რასაც მაჩუქებენ, ისიც რომ დავუმატო, უსათუოდ მეყოფა ჩემი დიდი ხნის სურვილის ასასრულებლათ—მოხტო—კრისტოს საყიდლათ. მე ვშიშობდი მხოლოთ ვაი თუ დედ-მამამ თოფის ყიდვის ნება არ მომცეს, რადგან ერთხელ მითხრეს, რომ მე ჯერ პატარა ვარ და მაგისთანა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიში სათამაშოს ჩაგდება ჩემ ხელში ძნელი იქნება.

ჩემ დაბადების დღეს მართლაც მივიღე კაი საჩუქარი — მთელი სამი მანეთი: დედამ მაჩუქა ერთი მანეთი და მალუა ჩემს გამოუგზავნა ორი. მამამ არ იცოდა ფულის ჩუქება და ამბობდა — ფულს ცოდო მოსდევს ხოლმეო.

როდესაც დილით შევედი პურის-საჭმელ ოთახში, სადაც დედ-მამა დამიხვდენ-მე მიუახლოვდი დედას მისასალმებლათ და ერთბაშათ საშინლათ გავწითლდი, ვიცოდი, რომ ახლავე ფულს მაჩუქებენ, ისიც ვიცოდი რომ ეს მამას არ ესიამოვნება და შემრცხვა, უხერხულათ ვგრძნობდი თავს.

— მომილოცავს შვილო, მითხრა დედამ, როცა მიუახლოვდი. — აი, დაიჭი ფული შენი ყულაბისთვის: მალუამ გამოგიგზავნა ორი მანეთი და ჩემგან მიიღე ერთი.

— მადლობელი ვარ, ძალიან მადლობელი. ვთქვი მორცხვად და სამ მანეთიანი უხერხულათ ჩავიდე ჯიბეში. ისე მრცხვენოდა, ისე ალმური ამდიოდა, რომ როდესაც დედისთვის მინდოდა, მეკოცნა მის კაბას წამოვკარი ფეხი და კინაღამ წავიქეცი. დედამ მაკოცა და თვითონაც შერცხვა. მეგონა — ეს ეს არის დედა მიწა რომ გამსკდარიყო და შიგ ჩავარდნოდი — ის ეჯობინებოდა. მერე მივედი მამასთან, იმან ალერსიანი ღიმილით შემომხედა.

— გამარჯვება, მამიავ, მომილოცავს, ყოჩაღ! კაი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორმეტი წელიწადი შეგისრულდა. აბა, ახლა დაუდგა ბედი შენ მონტო-კრისტოს.

— ხო... წავილუღლუღე მე, ისევ ისე შერცხვენილმა.

მამამ წამკიდა ქამარში ხელი, მიმიწია თავისკენ და მაკოცა.

— განა ადრე არ არი შენთვის თოფი, ჩემო კარგო? ვაი თუ თავი გაიფუჭო, ან ვის დაჰჯერია ხეირი მისი ხმარებით.

— მე კიდეც ვცადე სროლა სერიოჟას თოფით.

— მაშ გისროლია? მერე? კარგია?

— ძალიან. ნუ გეშინიან მამავ, ჩემ თავს არაფერს დავუშავებ.

— კარგი. მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა დაჯექი, დალიე ჩაი!

მამამ თავისი გვერდით ადგილი მიჩვენა. დედამ ჩაი მომაწოდა.

— სად არიან შენი დები? იკითხა მამამ.

— ბაღში არიან.

— წადი დაუძახე. ჩაი ერთად დავლიოთ. გავიქეცი ბაღში და წამოვიყვანე ჩემი დები. მგონი, მამამ განგებ გამგზავნა, რომ მორცხობა გადამეროდა თავიდან. მართლაც, როდესაც დავბრუნდი სახლში ისე აღარ მრცხვენოდა, თუმცა ცოტათი კიდევ უსიამოვნოთ ვგრძნობდი თავს.

— არ მესმის, რა სასიამოვნო უნდა იყოს. თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თონ ბავში სწუხდება. ამბობდა მამა ჩემი, როცა შე-
ვდიოდი პურის საჭმელ ოთახში.

— კარგი, მაგაზე ნუღარას ვილაპარაკებთ. მე
მესიამოვნა და დარწმუნებული ვარ, იმასაც ესიამოვნა,
უთხრა დედაჩემმა ცოტა არ იყოს წყენით.

მამას უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ დამინახა კარებში
და ჩაჩუმდა.

— სად არიან ემაწვილები? მკითხა საჩქაროთ.

— მოდიან ახლავე, ვუპასუხე და თან ვფიქრობ-
დი იმაზე, რაც გავიგონე.

„ბავში სწუხდებაო" გავიმეორე მე გულში. მარ-
თალია, საჩუქრის მიღება სირცხვილია, სამაგიეროთ
თოფი რომ მექნება. ვნუგეშობდი და მიხაროდა, რომ
სურვილი მალე ამისრულდება. და შევუდეგ ჩემ გაცივე-
ბულ ჩაის სმას.

დედაც და მამაც ჩუმათ ისხდენ, თითქოს რაღა-
ზედაც უკმაყოფილონი იყვენ.

— მაშ ნებას მომცემთ, რომ ვიყიდო მონტე-
კრისტო? წამოვიძახე ბოლოს გაბედულათ ჩემი გუ-
ლის ნადები.

— ვნახოთ, ვნახოთ. თუ ფრთხილათ იქნები, მა-
გაზე მერე მოვიფიქრებ. თქვა მამა ჩემმა ცოტა არ
იყოს უსიამოვნო კილოთი.

— მე სროლა კიდეც კარგათ ვიცი.—არ ვიშლი-
დი ლაპარაკს, რომლის დაწყება აქამდის ასე მეძნე-
ლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სერიოჟას კარგა ორი წელიწადია, რაც თოფი აქვს, უთხრა დედა ჩემმა მამას და ამითი თითქოს დამშვიდდა.

— ვნახოთ, ვნახოთ, მერე... წაიბუტბუტა მამამ, ეტყობოდა რომ ამაზე ლაპარაკი აღარ უნდოდა.

ამ დროს შემოცვივდენ ჩემი დები თავიანთი მასწავლებლით, მარიამ იოსების ასულით, და გვითხრეს, რომ ვიღაც სტუმრები მოდიან. ჟღარუნების ხმა სულ ახლოდან მოისმოდა.

მე გავექანე მირს სტუმრების შესახვედრათ. ჩემი ბიძაშვილები იყვენ თავიანთი მასწავლებლით. ძალიან გამეხარდა. მივესალმეთ ერთმანერთს, მომილოცეს დაბადების დღე. მერე ავირბინეთ მაღლა. იქ ესენი მიესალმენ ჩვენებს და მერე ერთად: ჩემი ორი და თავიანთი მასწავლებლით, ჩემი ბიძაშვილები, ისინიც თავის მასწავლებლით და მე—ყველანი გავიქეცით ბაღში იმ ტანისამოსის ანაბარათ, როგორითაც ოთახში ვიყავით, რადგან თბილოდა, როგორც წინათ ვთქვი. სერიოჟას არ მოეტანა თოფი, წამალი შემოჭკლებოდა. ამაზე ცოტა არ იყოს ვინაღვლეთ. მე გამოვუცხადე ჩემ ბიძაშვილებს, რომ მონტო-კრისტოს საყიდლათ ფული კიდეც მზათა მაქვს და დედ-მამამ თითქმის კიდეც ყიდვის ნება მომცა.

— იცი რა გითხრა, მითხრა სერიოჟამ სხვათა შორის, გუშინ ვესროლე ჭილყვავს, ბარტყებმა ასტეხეს საცოდავათ ჩხავილი, საშინლათ შემეცოდენ. მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავწყვიტე, რომ ამას იქით პატარა ფრინველებს აღარ ვესვრი თოფს.

— ეგ სულელობაა! ვუპასუხე გაკვირვებით და შეშინებული იმით, რომ რისთვის ვაგროვებდი ფულს და რისთვის მინდოდა მონტო-კრისტოს ყიდვა თუ კი ფრინველებს არ ვესროდი.—რათ იქნება ცოდო, რაზე უნდა შევიბრალო. დავუმატე მე გაბედულათ.

— შენ არ გესმის არაფერი, თქვა სერიოჟამ,— მე მოვკალი ჭილყვავი, ვის უშლიდა ის უბედური, შვილებიც ჰყავდა... სწორეთ კარგათ არ მოვიქეცი.

— მაშ ამას იქით ვის ესვრი თოფს?

— მიზანში ვისვრი ხოლმე. შაშვებს მოვკლავ, იმათ კაცი სჭამს მაინც.

— ხო, მეც შაშვებს ვესვრი თოფს. შენ მართალს ამბობ. ჭილყვავების გვარ ფრინველების მოკვლა არა ღირს.

დიდხანს ვლაპარაკობდით მე და სერიოჟა, მერე დავიწყეთ სირბილი, ვინ ვის გაასწრობდა, ხეებზე ავდიოდით, ერთი სიტყვით ძალიან ვმხიარულობდით.

ყველაზე მეტათ მე ვიყავ მხიარული, რადგან მეგონა რომ ეს მზე, გაზაფხული, მწვანე—ყველა ეს სიმშვენიერე განგებ ჩემი დაბადების დღისთვის იყო მოწყობილი. პირველ საათზე დაგვიძახეს საუზმის საჭმელათ. გაჩქარებული მოვირბინეთ, დაღალულებს მოგვშივდა. მოვუჯექით დიდ მაგიდას, რომელიც შემკული იყო ყოველგვარ საჭმელით, დიდი პეროგით



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს სიტ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ტკბილი სასმელით. საუზმეზედაც ძალიან მხიარულათ გავატარეთ დრო. ყველანი ვიცინოდით, ვხუმრობდით და ბევრს ვლაპარაკობდით. კარგა გამოვძეხით, თითო ჭიქა ტკბილი სასმელი დავლიეთ და ხელ-ახლათ ყველამ ერთად მომილოცა. მე ჩემ თავს სრულ ბედნიერათ ვთვლიდი.

— აბა, ახლა უნდა სადმე გავისეირნოთ, შევაბმევინოთ ცხენები ლინეიკაში, თქვა მამამ საუზმის შემდეგ.

— მართლა, რა კარგი იქნება! ერთ ხმათ შევუყვირეთ ყველამ.

— მაშ გავიქცევი, შევაბმევინებ ჩვენ ლინეიკას, შეიძლება? შევუყვირე მე.

— კარგი იქნება, უთხარი სამი ცხენი შეაბან, მომაძახა მამა ჩემმა, როდესაც მე კარებში გამოვდიოდი კიდეც.

ერთ წამს ჩავირბინე კიბე და გავარდი ქუჩის კარებზე. მაგრამ აქ უცბათ შევდეგი. სწორეთ ჩვენ სახლის პირდაპირ, დიდ თელას ქვეშ, დავინახე ერთი სოფლის დედაკაცი ბავშით ხელში, გვერდით ჰყავდა კიდევ ორი პატარა ბავში. ის იჯდა მიბჯენილი ხეზე და თავისი გამხდარი, გაკლანჭული, ფეხები გაეშვირა გრძლათ. ფეხებზე დაგლეჯილი ქალამნები ეცვა. საბრალო მწარეთ ჩაფიქრებული იყო. სახლიდან გამოსვლის დროს, კარები რომ მივაჯახე, დედაკაცმა თავი მაღლა აიღო და ნაღვლიანი თვალები შემომანათა. წინ რომ გავუარე შევხედე და უცბათ გავჩერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გინდა შენ, დედი! ვკითხე მე თამამათ და უდარდელათ. ხმაზედაც კი მეტყობოდა, რომ მხიარულ გუნებაზე ვიყავი.

— მოწყალება მიბოძეთ... თქვა დედაკაცმა თრთოლით და ნელა ნელა წამოდგა ფეხზე.

ის ჭუჭყიან ძონძებში იყო გახვეული. გამხდარი სახე გაყრმელებოდა, ხელებზე ტალახი შეხმობოდა და დამსკდარი ჰქონდა. თითები სიგამხდრით ჩონჩხს მიუგავანდა. მაგრამ მისი მზისგან დამწვარი სახის გრძნობიერი გამომეტყველობა იზიდავდა მისკენ ადამიანს. გაჭირვებულმა ცხოვრებამ და ნაღველმა ეტყობოდა შეაჩვია მოთმინებას და ღვთისნიერებას. ბავში, რომელიც ხელში ჰყვანდა აყვანილი, საცოდავი რამ იყო. ძნელათ თუ თვალს გაუმართავდით ამ პაწაწინა მკრთალ არსებას — სულ ყვითელს; აბერილი ლურჯი მარღვები ზედ დაეთვლებოდა. ბავში არა ტიროდა და დედასავით მორჩილათ გამოიყურებოდა. თავის სუსტ, ჭუჭყიან, პაწაწინა ხელებს აქეთ-იქით იქნევდა სხვა ორი პატარა ბავში დედას გვერდით უდგნენ. ისინიც ისეთივე გამხდრები და გალეულები იყვნენ, ისეთივე ჭკვიანი თვალებით შემომცქეროდნენ. ერთს იმათგანს მხრებზე პარკი ჰქონდა გადაგდებული, უსათუოდ შიგ ინახავდა პურის ნატეხებს, ქერქებს სამოწყალოთ მოცემულს.

— ესენი შენი შვილები არიან? ვკითხე მე დალაგებით, თან შევცქეროდი მათ დაგლეჯილ ტანისამოსს და ფეხ-შიშველობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ ვისი იქნებიან! გადავიწვით და დავდივართ ახლა სამოწყალოთ; იქ სოფელში კიდევ ორი გოგო მყავს.

— შენ საიდანა ხარ? ვკითხე, როგორც ჩვეულებრივ ჰკითხავენ ხოლმე და თან გულმა დამიწყო კვნესა და თავში ამერია ფიქრები.

— შორიდან... სტეპანოვკიდან მოვდივარ, უთუოდ არ გეცოდინება ეს სოფელი. თქვა მოწყენილათ დედაკაცმა და იფიქრა რომ უსათუოდ ამგვარი ცუდუბრალო სიტყვებით თავს ვიქცევ.

— შენი ქმარი სადღაა? ვკითხე ახლა სულ მორცხვათ.

— ჩემი ქმარი? მოკვდა. ჯერ თითქოს რაღაც დაავიწყდა, მერე მოიგონა და ისე თქვა.

ის არა ტიროდა, არც ბედს უჩიოდა, როგორც სხვა მათხოვრეები. ეტყობოდა, რომ ცრემლები თვალებზე შეშრომოდა და ამითიც ვერ ინუგეშებდა. ის არ ისვეწებოდა, არ მიკრავდა მდაბლათ თავს, არ მაბეზრებდა თავს მოწყალების თხოვნით, მგონი იმიტომ უფრო, რომ ცხადათ სჩანდა მისი ნათქვამის სიმართლე.

კარგათ ვხედავდი, ვინც იდგა ჩემ წინ. განა ძნელი მისახვედრი იყო. აი დედა, აი ყმაწვილებიც, ორიც კიდევ სოფელში ჰყავდა. ამ დედას აღარაფერი გააჩნია—არც სახლ-კარი, არც ლუკმა-პური—არა თუ გავიგე, ვგრძნობდი მას სულით და გულით. ამან შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაწუხა და დამანაღვლიანა. თითქოს პირველათ ჩემ სიცოცხლეში ასე ახლო ვხედავდი სიღატაკეს.

— ღმერთო ჩემო, ვიფიქრე მე.—ჩვენ ვმხიარულობთ, არაფერი არ გვაკლია, საჭმელიც, სასმელიც ბლომათა გვაქვს, ჩვენ გვერდით კი რა გაჭირვებულები არიან. მე რომ რამე გამაჩნდეს—არაფერს არ დავიშურებ, მივცემ ყველაფერს.—მერე თითქოს ვიღამაც ჩამჩურჩულა: ყულაბი ხომ ფულებით სავსე გაქვს. ამაზე სხვა მოკრძალე ხმა მომესმა; მონტო-კრისტოს რაღა ვუყოთ. მაგრამ ეს ხმა ისეთი საცოდავათ წრიპინებდა და საზიზღრათ გაისმოდა, რომ ერთ წუთსაც არ შევშფოთდი.

— ახლავე, დედი, მომიცადე ცოტა ხანს, ვუთხარი მე და მხიარულათ და საჩქაროთ გავბრუნდი სახლში.

ფეს აკრეფით, ჩუმათ ავარდი ზემო სართულში, შევირბინე ჩემ ოთახში და ყულაბი გამოვიტაცე.

— რა დროს მონტო-კრისტოს ყიდვაა და ფრინველების ხოცვა. არამც და არამც არა ვიქ მაგას! ეგ ხომ სულელობაა! ან რა საჭიროა! ვეუბნებოდი ჩემ თავს და თან უკანვე კიბეებზე ჩამოვდიოდი. მიუახლოვდი მათხოვარს.

– აი, დაიჭი, ვუთხარ მე და ყულაბიდან ბალახზე გადმოვუყარე თეთრი ფული,—აი კიდევ, ვუთხარი მე ამოწითლებულმა და გვერდზე მოუდე ახალი სამმანეთიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშინებულმა დედაკაცმა უკან გაიწია, ის ისე გაოცებით და გაკვირვებით დასცქეროდა ფულს, რომ მეც მალაუნებურათ შემრცხვა.

— აიღე შენთვის, ეს შენთვის მომიცია, განმეორებით ვუთხარი მე და საჩქაროთ ფულები მიუგროვე გვერდით.

დედაკაცმა ხელ-ახლათ გაკვირვებით შემომხედა, მერე გადახედა ფულს, მერე თავის შვილებს და უცბათ მოკრძალებით გაიღიმა. თითქოს მიხვდა, მაგრამ თვალებს არ უჯერებდა, რომ ფულები მისია.

— აიღე, პური იყიდე, ხელმეორეთ ვუთხარი მე.

— მადლობელი ვარ, ჩემო ანგელოზო, ღმერთი სამაგიეროს გადაგიხდის, პატარა მოფიქრების შემდეგ თქვა დედაკაცმა ისეთი გრძნობით, თითქოს ერთ წამს მისი გული ჩემ წინ გადიშალაო. მე მეგონა, რომ ყოველ მის სიტყვაში რაღაც გაცალკევებული აზრი იხატება. და მისი სიტყვები: „მადლობელი ვარ, ჩემო ანგელოზო“, „ღმერთი სამაგიეროს გადაგიხდის“, რომ არასოდეს არ გამიგონია ამისთანა ტკბილი სიტყვები და ვერც გავიგონებ.

— არაფერია, არაფერი, დედი, ეგ ფული მე არ მესაჭიროება, წავილაპარაკე და მზათ ვიყავ გავქცეულიყავ.

ყმაწვილები ცნობის მოყვარეობით შეგვცქეროდენ ხან მე და ხან ყულაბს.

— დაიჭი, ეს სათამაშოც შენთვის მომიცია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთქვი მე, თან უფრო და უფრო მიხაროდა—და გავუწვდინე ერთ-ერთ ყმაწვილს ყულაბი, რომელიც ჩემთვის აღარ იყო საჭირო.

— მადლობელი ვარ, ჩემო მწყალობელო! ღმერთი გიშველის, რომ შეიწყალე ღარიბი, თქვა დედაკაცმა პირჯვრის წერით. მე ამ დროს კიდეც მივრბოდი შინისკენ, მაგრამ ერთ წამს შევდეგ, ერთი კიდევ მივიხედე უკან. დედაკაცი ისევ ისე პირჯვარს იწერდა და აღგზნებული თვალები ჩემკენ მოეპყრო.

მე გავექანე საჯინიბესკენ, ისე მივფრინავდი, თითქოს ფრთები შემესხაო. მე ვგრძნობდი, რომ გულში სიხარულის ალი მიტრიალებს, მინდოდა შორს, მაღლა ავფრენილიყავ, მარტოთ-მარტო დავრჩენილიყავ.

„ღმერთი გიშველის, რომ ჩვენისთანა ღარიბი შეიბრალე“, მომესმოდა ყურში მისი საბრალო ხმა. მე შევარდი საჯინიბეში და ჩემი თანადასწრებით დაიწყეს ცხენების შებმა „ლინეიკაში“. მე ისეთი კმაყოფილი გამოვიყურებოდი და ისე ბეჯითათ ვშველოდი მეჯინიბეს, რომ იმან შემამჩნია აღელვება და ეგონა, რომ ბევრი საჩუქრები მივიღე ჩემ დაბადების დღეს და იმიტომა ვარ ასე მხიარულათო.

— პატარა ბატონი დღეს უსათუოდ ბევრ საჩუქრებს მიიღებდა, თქვა ცბიერებით მეჯინიბემ და თან ხელებზე იფურთხებოდა და ისე უჭერდა ხამუტის თასმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ამბობ, მარტინიჩ, ნუ გგონია, რომ მაგიტომა ვარ მხიარულათ!

იქნება დამიჯერა, ხოლო მაგაზე აღარა მითხრარა, დაჩუმდა და თავის საქმეს შეუდგა.

— შენ ეი, ფეოდორ, უთხრა იმან ბიჭს, რომელიც მას შველოდა, როდესაც სამივე ცხენი შებმული იყო,—მომიტანე სადავე აი იმ ფანჩატურიდან.

მე დავჯექ „ლინეიკაზე" და ისე მიველ სახლ წინ. მათხოვარი აღარა ჩანდა, ჩვენები წასასვლელათ გამზადებული გველოდენ. მამა იდგა კიბეზე ჩვენ გასასტუმრებელათ.

— მზათ არის, ვუთხარი მე მხიარულათ და ჩამოვხტი ძირს.

ყველანი მოეწყვენ, დასხდენ. მეც ჩემი მუდმივი ადგილი ავირჩიე—„თქვენ ხომ არავინ არ იცით, რათა ვარ ასე მხიარულათ, და არც გეტყვით" ვიფიქრე მე გულში და მივუბრუნდი და დავუწყე ცქერა ჩვენებს, რომელთაც ფაცი-ფუცი გაჰქონდათ და ხმამაღლა ლაპარაკობდენ.

— აბა, ჩემო კარგო, გინდა კიდევ იყიდო მონტოკრისტო? მოულოდნელათ მომიახლოვდა მამა ჩემი და უცბათ ყურში ჩამძახა:

— არა, ახლა აღარ მინდა, ვუთხარი შეკრთომით და გაკვირვებით შევხედე. სულ არ მოველოდი ამ საკითხს. „ღმერთო ჩემო", საიდან შეუტყვია! გავიფიქრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფანჯრიდან დაგინახე. სულ ერთიანად მიეცი? მკითხა იმან ჩუმათ და შიგ თვალებში ჩამაცქერდა.

— სულ ერთიანად, ვუთხარი დაბალის ხმით.

— ყოჩაღ, მამიავ, კარგათ მოქცეულხარ, სწორეთ საყვარლათ მოიქეცი. თქვა მან ხმის კანკალით. მერე პირი მიიბრუნა კარებისკენ, რომ ცრემლები მის თვალებზე არავის დაენახა.

გავუდექით გზას. მეც მალიან აღელვებული ვიყავ. მესიამოვნებოდა, რომ მამა გავახარე და თან ვნანობდი, რომ შეიტყო მან ჩემი საიდუმლო. ახლა ყველა შეიტყობს, დაიწყებენ ლაპარაკს, რანაირად ჯავრი მომდიოდა. ვფიქრობდი: ვთქვათ მამა არაფერს იტყვის, მაგრამ ხომ იკითხავენ—რა ვუყავი ფული და მეც უნდა სწორეთ უთხრა. მაგრამ, რად უნდა მცხვენოდეს, სასირცხვილო აქ რა არი! ამაზე დავმშვიდდი და გულიც დავიმშვიდე.

— მაგას რას ლაპარაკობდით? მკითხა სერიოჟამ, რომელიც გვერდზე მიჯდა და მხოლოთ იმან შეამჩნია ჩემი მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი, ლაპარაკი მამასთან.

— არა, არაფერი. მერე, სხვა დროს გიამბობ. მოდი ვიმღეროთ რამე! მხიარულათ ვუთხარ მე ჩვენებს.

მალე ჩვენ სოფელს გავცილდით, შარა გზაზე გავედით. მეეტლემ გარეკა ცხენები. რაღაც სოფლურ სიმღერას ვმღეროდით, თან ვყვიროდით, ვწიოდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც კი შეგვეძლო ხმა მაღლა. მაგრამ ამ ჩვენ ბავშურ ყვირილში, ლინეიკის თვლების ხმაურობაში, მარტინიჩისაგან მკვირცხლ ცხენების გარეკაში—გამოიხატებოდა სიცოცხლე და მშვენიერობა.

აი ეს მინდოდა მეამბნა თქვენთკის, რომლის ხსოვნა აქამდის სასიამოვნოთა მაქვს.

(თარგმანი)

ან. წერეთელი.



# ქაღალდის ნაამბობი.

(ფრანგულით)



მოსარეცხე ქალს მოუტანეს ერთი გირვანქა საპონი გახვეული დაწერილ ქაღალდის ნახევში. ქალმა აიღო საპონი, ქაღალდი კი მაგიდას ქვეშ შეაგდო. იქვე კუთხეში ობობა თავის ქსელს აკეთებდა.

ქაღალდის ნახევს არ მოეწონა მეზობელი ,,საკვირველია, წაიბუტბუტა მან, მთელი ჩემი სიცოცხლე ვემსახურებოდი ადამიანს და აი რა მადლობა გადამიხადეს, სად მიმაგდეს; ეს ვაჟბატონი კი რისი მაქნისია, ზის და ბუზებით თავს იქცევს. მეტი არასფერი არ ენაღვლება‘‘ სთქვა ეს და გადიხედა ობობას.

,,ძალიან სცდები‘‘ სიცილით მიუგო ობობამ.— მაგრამ ერთი მითხარი რითი დაავალე შენ ადამიანი მაგრე რო ლაპარაკობ, მიამბე ერთი, ყურს დაგიგდებ, სანამ ბუზი გაებმებოდეს ჩემს ქსელში—გავერთობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ გინდა, დიდი სიამოვნებით მოგიყვები ჩემს თავ გადასავალს, ბევრი რამ საყურადღებოა. წარმოიდგინე რომ სულ უწინ მე ვიყავი სახელო ერთი სოფლელ პრანჭია ქალის კაბაზე. ყური დამიგდე რიგზე მოგიყვები.

,,მაგონდება დიდი მაღაზია. ამ მაღაზიაში ბევრი ნაქსოვები იყო, ფარჩეულობა, ძვირფასი და ლამაზი საკაბეები ელაგა საწყობებზე. სულ მაღლა ჩვენ ველაგეთ-ჩითები. რა მოსაწყენი იყო ჩვენი სიცოცხლე სულ ერთი და იგივე ამბავი: მოდიან, ყიდულობენ, ვაჭრობენ, არჩევენ, მეც ძლიერ მინდოდა, რომ ვისმეს ვეყიდე. მალე სურვილიც ამისრულდა. ვიღაც სოფლის დედაკაცმა მიყიდა, მაგრამ ჯერ ბევრი ჩითები გადაარჩია, ყველა დაიწუნა, უფრო მხიარული ჩითი უნდოდა ეყიდა. მე ყველაზე უფრო მოვეწონე. ისეთი ვეებერთელა ყვავილები იყო დახატული ჩემზე, რომ თვალები აგიჭრელდებოდათ ჩემი ყურებით.

,,ახალმა პატრონმა მეორე დღეს სოფელში წამიღო, დიდი მაკრატლით ნაჭრებათ დამჭრა და კერვა დამიწყო. სულ მალე შეკერა კაბა და ზედა ტანი რომლის სახელოც მე გახლდით.

,,პირველ ხანებში კარგათ ვცხოვრობდი. ჩემი პატრონი ყურს მიგდებდა. კაბას მარტო დღესასწაულობით იცვამდა და მიდიოდა დროს გასატარებლათ. ჩემი ბედნიერება ხანგრძლივი არ იყო. ჩემმა პატრონმა მოუხშირა ჩაცმა კაბას. კაბა მალე გაჭუჭყიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, გასარეცხი გახდა. და აი ჩამაგდო გობში, დუღარე წყალი დამასხა და დამიწყო რეცხვა, სულ მაწვალა, ხან აქაფებული საპონი გადამავლო, ხან მსრესა, ხან ისე მწურა რომ სულ მაწრიპინა. ჩემ რეცხას მოუხშირა, სახელოებს მაინც ძალიან სრესდა. ყვავილები გამიხუნდა, ბოლოს დამხიეს და მტვერის ჭინჭათ მაქციეს, მერმე ერთხელ გატეხილ ფანჯარაშიაც ჩამტენეს, ქარმა დაქროლა, და შორს გადამაგდო. გაიარა ვიღაც კაცმა და მაგრათ ჩამჭყლიტა მიწაში თავისი ჩექმით სულ ტალახში ამომსვარა. ვიფიქრე, ახლა კი ჩავლპები მეთქი, მაგრამ დახე რა მოხდა.

„ვხედავ, ერთ დღეს მოვიდა ვიღაც ძონძებში გახვეული ბიჭი, ზურგზე ეკიდა ტომარა, ტალახში თვალიერება დაიწყო რაღაცასი. ნეტაი, ერთი რას ეძებს-თქო, გავიფიქრე მე, როდესაც მან მტაცა ხელი, გამომათრია ტალახიდან და თავი მიკრა ტომარაში. რა არ იყო ამ ტომარაში? ლურსმები, ჭინჭები, ძველი ფეხსაცმელები, ძვლები და სხ. და სხ. დიდი ხანი იარა კიდევ ბიჭმა, სანამ ტომარა არ გაავსო, და როცა გაავსო—წაიღო ერთი საწვრილმანო დუქანში, სადაც მას მისცეს რამოდენიმე კაპეიკი ამ სიბინძურისათვის. დუქანში ბევრი სავსე ტომარა ელაგა, ერთში მეც ჩამკუჭნეს და სადღაც დიდ შენობაში გამისტუმრეს. რამდენი ფანჯრები და საკვამლეები ჰქონდა ამ შენობას. ეს თურმე ქაღალდის ქარხანა იყო. ჩვენ შეგვითრიეს ერთ დიდ ოთახში, იქ იატაკზე დაგვყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს, დაგვანაწილეს და ყუთებში ჩაგვალაგეს. მერმე ჩითების ნაჭრები, მათ შორის მეც, ერთ დიდ კბილებიან მანქანაში ჩაგვდეს. ამ მანქანას პირზე ჰქონდა ცხრილისავით, ამ მანქანამ ჩვენ მტვერი, ტალახი და სიბინძურე მოგვაშორა, მერმე გაგვრეცხეს კარგათ კირ ნარევ წყალში, წყალი გადაგვავლეს. თქვენა გგონიათ ამით გათავდა ჩემი ტანჯვა—ჯერ სადა ვართ—ახლა ჩაგვყარეს რაღაც დუღარე წყლით სავსე ვანაში, რომელშიაც იყო კბილებიანი მანქანა. დატრიალდა ეს მანქანა და დაიწყო ჩვენი წეწა-გლეჯა. ისე დაგვწეწა, რომ სულ მაფებად ვიქეცით, იმდენი იტრიალა მანქანამ, სანამ გობში რაღაც სქელი ფაფა არ გახდა ამ ჭინჭებისაგან. ამ საშინელებას, ამ წეწა-გლეჯას ვერ გაუძელ, გული შემიწუხდა.

გონს რო მოველი თეთრი და წმინდა ქაღალდის ფურცლად ვიდევი თაბახის თავზე.

როგორ მოხდა ეს ცვლილება მე მერმე გავიგე. რამდენიმე დღე ვიდევი ქარხანაში და თვალ ყურს ვადევნებდი ყველაფერს, რაც კი ხდებოდა. ფაფა ჯერ შეათეთრეს რამოდენიმე დღის განმავლობაში კირით და ხლორით. მერმე ეს სისქე ჩაასხეს ქვაბში, რომლის პირში მილი იყო გაყვანილი. ფაფა მილიდან გადავიდა სპილენძის საინებზე, ამ საინებს გარშემო ტყავი ჰქონდა გაკეთებული, რომ ფაფა არ დაქცეულიყო. ჰაერისაგან ფაფა სქელდებოდა; რომ გამშრალიყო და უსწორ-მასწორი არ ყოფილიყო, ზემოდან

მოუჭერდენ მანქანის გახურებულ ჭახრაკს. და როდესაც გამოსწევდენ საინს გამოვიდოდა გრძელი, თეთრი ქაღალდის ფურცლები. ამ ქაღალდს სჭრიდენ პატარა ფურცლებათ და დასტა-დასტათ ალაგებდენ.

ქარხნიდან მე დიდ მაღაზიაში წამიღეს ამ მაღაზიაში რა არ იყო, დანები, კალმები, ფერადი ქაღალდი, კალმების კოლოფები,—სხვა და სხვა ღირსების და ფასის იყო ეს ნივთები. ამათების მყიდველები უფრო ხშირათ ბავშვები იყვნენ. რა კარგი ბავშვები მოდიოდენ ხოლმე—ისე მინდოდა გადმოვხტარვიყავ და მეთქვა: მე წამიღეთ, მე მიყიდეთ“. ეს სურვილიც ამისრულდა—პატარა ლამაზმა გოგონამ გვიყიდა სამი ფურცელი ერთათ, დაგვჭრა და რვეული შეიკერა. მერმეთ ვარდის ფერი ქაღალდის ყდა გაგვიკეთა; ყოველ დღე ჩანთით სკოლაში მივქონდი ამომიღებდა ყოველ გაკვეთილზე და წერას დაიწყებდა ლამაზათ, ბეჯითად. ასეთ წერაში გამოილია ფურცლები და ბოლოს სულ გათავდა რვეული. დედამ ურჩია გასცვალე ეგ რვეული, ყდა გადამაძრო და პატარა დუქანში წამიღო. იქ მას მისცეს ორი ფურცელი უბრალო ქაღალდისა. გაიქცა გოგონა და წაიღო ქაღალდი და მე კი დავრჩი სხვა გლახა ქაღალდებთან ერთათ. აქაც დიდ ხანს არ დავრჩენილვარ; იმ დღესვე მოვიდა დუქანში პატარა ბიჭი და ერთი გირვანქა საპონი მოითხოვა. ვაჭარმა ამომხია რვეულიდან, გაახვია საპონი და მისცა ბიჭს, მე ძლიერ გამეხარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ვიფიქრე კიდევ ბავშვებთან ვიქნებითქო. ახლა კი გამიცრუვდა იმედი! ბიჭმა ამ ქალს მიუტანა საპონი, ქალმა მე აქ გადმომაგდო აქ, სადაც შენ შეგვხდი.

,,აი ჩემი თავგადასავალი“. ამ სიტყვების შემდეგ ქაღალდის ნაგლეჯი გაჩუმდა.

— ,,საყურადღებო ყოფილა შენი ამბავი. დაცინვით მიუგო ობობამ, მაგრამ განა უკეთესი არ არის ბუზანკალების ჭერა და ჭამა.

ქაღალდმა ზიზღით პირი მიიბრუნა. ამასობაში დაღამდა. მრეცხავი ქალის ვაჟმა მეორე ოთახიდან სანთელი მოითხოვა. ქალმა დაინახა იატაკზე ქაღალდი, აიღო, გამოახვია სანთლის ბოლო, შანდალში ჩაარჭო და შეუტანა შვილს ოთახში. ამ ოთახში მაგიდას წინ იჯდა პატარა, ათი წლის ბიჭი და კითხულობდა.

კარგა დაღამდა, ბავშვი კითხულობდა და კითხულობდა, ბოლოს დაიღალა, დადო თავი წიგნზე და დაიძინა. ქაღალდს უხაროდა, რომ კიდევ იმას ემსახურებოდა ვინც ისე მაგრად უყვარდა.

უცებ ქაღალდმა იგრძნო რაღაც სიცხე, მოსაზრებაც ვერ მოასწრო რომ ალი მოედო და უცებ დაიწვა. სანთელი ჩაქრა. შავი ფერფლი სუფრაზე და წიგნზე დასცვივდა. ირგვლივ სიჩუმე და სიბნელე იყო... ასე გათავდა ამ პატარა ქაღალდის ნახევის სიცოცხლე.

**შურა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „ერთად სჯობია“.



რთ მემამულეს ჰყვანდა ბევრი ხოხბები. მარცვლებს უყრიდა განგებ მათთვის გამართულ ყუთში, რომელიც ისე იყო მოწყობილი, რომ თავის თავად იღებოდა, როდესაც ფრინველი შედგებოდა ყუთის საფეხურზე.

მინდვრის ერთმა პატარა ფრინველმა შეამჩნია ეს და მოინდომა ხოხბების საკვებით ესარგებლა. ჩიტი შეხტა ყუთის საფეხურზე და დიდხანს იდგა, მაგრამ ყუთის თავი არ აიხადა: ჩიტი ძალიან სუბუქი გამოდგა და ამიტომ ყუთის თავი თავის თავად არ აიწია.

ჩიტი მოჰყვა ხტუნვას, რომ უფრო ძალით დასცემოდა ყუთს, ამ მოხერხებით ცოტა ეშველა, რამდენიმე მარცვალი ჩაიგდო, მაგრამ ჩიტი ამითი არ დაკმაყოფილდა. ამ პაწიამ მოისაზრა, რომ ყუთის საფეხურზე რაც მეტი სიმძიმე იქნება, ყუთის თავი მეტათ აიწევა.

— ერთად სჯობიაო! სთქვა გულში ჩიტმა და გაფრინდა თავის მეგობრის, თავისავით პატარა ჩიტის, მოსაყვანათ.

ორივენი დადგენ საფეხურზე, მაშინ ყუთის თავი ადვილათ აიხადა. ჩვენმა ჩიტებმა თავიანთ ქეიფზე, რამდენიც უნდოდათ მარცვლები, იმდენი მიირთვეს.

(ქურავსკიდან).

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

# უცნაური მსმენელები.



ერთი ინგლისელი ინდოეთში დიდ ხანს ცხოვრობდა. ის მარტოთ მარტო იდგა სახლში და თავის შესაქცევათ ჭიანურზე უკრავდა.

ერთხელ საღამოს, დაკვრის დროს, შეამჩნია, რომ ოთახში რაღაც მოძრაობაა და თავის გვერდით, კედელზე, ჩრდილი დაინახა. იმას ეგონა, რომ ჩრდილი ხის ტოტისაა, რომელიც გარედან ფანჯარაში იცქირებოდა და ყურადღება არ მიაქცია.

პატარა ხანს შემდეგ დაინახა რომ ჩრდილს მოძრაობა ემატებოდა ყოველ ჭიანურის ხმის ამაღლებაზე. ინგლისელი დააცქერდა კარგათ და ეს ჩრდილი გამოდგა გველის თავი, რომელიც კედლის ნახვრეტიდან გამოიყურებოდა.

მარტო გველი კი არ იყო ამ ჭიანურის დაკვრის მსმენელი, კედელზე ჩამწკრივებულნი იყვნენ ხუთი მორიელი, კუდები მაღლა აეწიათ და ეტყობოდათ სტკბებოდენ მუსიკის ხმით. როგორც რომ ამ მასპინძელმა გაათავა დაკვრა—მისი ექვსი მსმენელნი მიიმალენ თავიანთ სოროებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მას აქეთ, როგორც-კი ეს კაცი დაიწყებდა ჭიანურის დაკვრას, ეს მსმენელები გველი და ხუთი მორიელი გამოჩნდებოდენ თავიანთ ჩვეულებრივ ადგილებზე და გულ-მოდგინეთ ისმენდენ მუსიკას.

ინგლისელი ვერ იმეტებდა მოსაკლავათ ამ მუსიკის მოყვარულთ და რადგან არას უშავებდენ — ნებას აძლევდა დამტკბარიყვენ ჭიანურის სმენით.

(ქურავსკიდან).



# ᲛᲐᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ.

(პეტრე მირიანაშვილის მიერ ჩაწერილი).

იყო ერთი მეფე. ჰყავდა ერთი შვილი. შვილმ
შეირთო ცოლად ბაყაყი. ამის გამო მამა
შეიძულა შვილი და გააგდო. ცოლ-ქმარი და
სახლდენ სხვა ადგილას. ქმარი რომ წავიდოდა სხვა
გან, ბაყაყი ყველაფერს დაალაგებდა, მოამზადებდა და
შინ რომ დაბრუნდებოდა მისი ქმარი, ყველა მზა
დასვდებოდა. ხელმწიფის შვილმა იფიქრა: მოდი ამა
უდარაჯებ, ვნახავ ასე ყველაფერს ვინ ამზადებს ჩემ
სახლშიო. ერთს დღეს უდარაჯა. ამ ბაყაყმა რომ
გაიგულა ქმარი გარედ, გადიძრო ბაყაყის ტყავი და
გამოვიდა უმშვენიერესი მზეთუნახავი ქალი და და
წყო იქაურობას ლაგება. გამოვიდა ჩუმად მისი ქმა
რი, სტაცა ხელი და უთხრა: შენ მაგისთანა მშვენი
ერი ჰყოფილხარ და ბაყაყის ტყავით კი მეჩვენებო
დი. — შენთვის კარგი იყო, რომ მე ისე დავრჩენი
ლიყავი და ახლა კი არ არის კარგი, რომ ასე მნა
ხეო. მერე ისევ ბაყაყის ტყავი ჩაიცვა.

ერთხელ მეფემ მიიხმო თავისი შვილი და უთხრა:
უკვდავების წყალი უნდა მომიტანოო. უკვდავები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი არის მზის სიახლოვეს, ერთს ამოღრმავებულს ადგილას და ამ ადგილს გარს სდარაჯობენ მდევები. აქ იმიტომ ისტუმრებდა ხელმწიფე თავის შვილს, რომ უნდოდა შვილი აღარ დაბრუნებულიყო.

მეფის შვილი წამოვიდა შინ ძალიან დაღონებული. ბაყაყმა ჰკითხა: რადა ხარ აგრე დაღონებულიო? ქმარმა მიუგო: რაღა რადა ვარ, მამაჩემმა შემომიკვეთა, რომ უკვდავების წყალი მოუტანო. იქიდან ხომ კაცი ცოცხალი ვერ მოვაო.—ნუ გეშინიან, მიუგო ცოლმა, ოღონდ მამაშენს ცხენი, იარაღი და მათრახი სთხოვეო. შვილი წავიდა და სთხოვა ყველა. მერე ცოლმა დაარიგა: ახლა წადი. კარგა მანძილს რომ გაივლი, შეგხვდება ზღვა, ამ ზღვას დაჰკარი მათრახი, ზღვა გაიყოფა შუაზე, შენ ამ ზღვას გადი და ამ ზღვის გაღმა არის ის უკვდავების წყალი. მდევებმა რომ შეგამჩნიონ, შენ მაშინათვე ცხენს მათრახი დაჰკარ, შეათამაშე, მდევებს შეეშინდებათ და უკან გაიწევენ, მაშინ მიდი, ამოიღე წყალი და წამოდი შინ. ზღვას ისევ მათრახი დაჰკარ და ისე გამოიარე. წავიდა ხელმწიფის შვილი და მართლაც შეხვდა ზღვა და გაიარა როგორც ცოლმა უთხრა, მდევებიც ისე შეაშინა და ამ გვარად მოიტანა უკვდავების წყალი. მეფეს ძალიან ეწყინა, რომ შვილი ცოცხალი მოუვიდა. მეორედ მოიწვია და უთხრა: ახლა წადი და მდევებს ხარჯი გამოართვი ბევრისაგან ბევრიო.

წავიდა მეფის შვილი ისევ დაღონებული ცოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან.—რამ დაგაღონაო, ჰკითხა ცოლმა, მეფის შვილმა მიუგო. ასე და ასე მითხრა მამა-ჩემმაო. ნუ დაღონებულხარ, წადი ისევ მამა-შენთან და სთხოვე თავისი ცხენი და იარაღი. წავიდა მამასთან და გამოართვა ყველა. ცოლმა უთხრა, აბა ახლა წადი, ზღვა ისევ შეგხვდება გზაში და ისევ ისე დაჰკარ მათრახი და გაიარე. გაღმა რომ გახვიდე სამჯერ ისე შემოჰკარ ცხენს მათრახი, რომ სამი პირი ტყავი ასძვრეს და თან სულ იძახე: ხარჯი! ხარჯი! ხარჯი! დევები მაშინათვე მოაგროვებენ, აჰკიდებენ ჯორებს, გამოგატანენ და თითონაც თან გიახლებიან. წავიდა მეფის შვილი და რომ გავიდა ზღვას, მოჰყვა ძახილს: ხარჯი, ხარჯიო. გაიგონეს თუ არა მდევებმა, მაშინათვე აჰკიდეს ჯორებს ფულები და მიართვეს მეფის შვილს. მეფის შვილმა თან წამოიყვანა დიდძალი მდევების ჯარი და რომ გამოვიდა თავისი ჯარით ზღვაში, დაიწყო მაშხალების სროლა, როგორც ცოლმა დაარიგა. მაშინ მეფემაც უბრძანა, რომ აეშვათ შუშხუნები. თუმცა ძალიან კი ეწყინა, რომ შვილი ცოცხალი მოუვიდა. მერე რა, მოვიდა და მოუტანა დიდძალი ფული და დიდძალი ჯარიც მოჰგვარა. მესამედ მოიწვია ხელმწიფემ შვილი და უთხრა: ახლა წადი, დედაჩემს ბეჭედი წაჰყვა საიქიოს და ის მომიტანეო.

ძალიან დაღონდა მეფის შვილი და იფიქრა: ახლა კი ვეღარ გადავრჩებიო. ასე დაღონებული წავიდა შინ. ცოლმა კიდევ ჰკითხა: რა დაგემართა, რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღონებულხარო? ქმარმა მიუგო: ასე და ასე მითხრა მამაჩემმაო. ნუ შეშინებულხარ, ახლა წადი და მამაშენს რაში სთხოვე თავის მოწყობილობით. წავიდა და სთხოვა. მოვიდა შინ და ცოლმა დაარიგა: წადი, მიდი ისევ ზღვასთან, ზღვას ისევ მათრახი დაჰკარი და გაიარე. ზღვას რომ გაივლი და გახვალ შეგხვდება დედაბერი და მოგცემს ბეჭედს და წამოიღე. მეფის შვილი წავიდა, შეხვდა ზღვა, დაჰკრა მათრახი, გაიყო ზღვა შუაზე, გაიარა და გავიდა გაღმა. გაღმა რომ გავიდა, კარგა ხანს იარა და შეხვდა ერთი ხარი, რომელსაც წინ ბევრი ბალახი ედო, მაგრამ თითონ კი გამხდარი იყო. მეფის შვილმა ჰკითხა: რათა ხარ გამხდარი ამოდენა ბალახი წინ გიძევსო? ხარმა მიუგო: ახლა წადი და როცა გამოივლი მაშინ გეტყვიო. წავიდა ეს ყმაწვილი და შეხვდა კიდევ ხარი, რომელიც ძალიან მსუქანი იყო და ბალახი კი სულ არა ჰქონდა. მეფის შვილმა იმასაც ჰკითხა; რისგან არის, რომ ბალახი სულ არა გაქვს და აგრეთი სუქანი კი ხარო. ხარმა უთხრა: ეხლა წადი და როცა გამოივლი, მაშინ გეტყვიო.

წავიდა მეფის შვილი. იარა, იარა და შეხვდა ერთი დედაბერი. ამ დედაბერმა იცნა თავის შვილის შვილი და ჰკითხა: რა გინდა, შვილო, შენ აქაო? მეფის შვილმა მიუგო: მამა ჩემმა მითხრა, დედაჩემს ბეჭედი გაჰყვა და მამიტანეო. მაშინ დედაბერმა უთხრა: ა, წაიღე ეს ბეჭედი, მაგრამ მამაშენი კი ჩქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რა მოვა აქ, ჩემთანა, იმიტომ რომ შენ ეგრე გაწვალაო. მეფის შვილმა გამოართო ბეჭედი და წამოვიდა, შეხვდა ისევ მსუქან ხარს და ჰკითხა: რად ხარ აგრე მსუქანი უბალახოთაო? ხარმა მიუგო: იმიტომა ვარ ასე მსუქანი, რომ პატრონს რომ მოუნდებოდი სახნავად ან სამუშაოდ მე მაშინვე იქ გავჩნდებოდი და ვმუშაობდი რაც შემეძლო ექვს დღეს და მეშვიდეს ვისვენებდი. ღმერთმაც ასეთი ბედი იმიტომ მომცაო, ბალახი არა მაქვს და ასე მსუქნათ და კარგად კი ვარ ყოველთვისო. ახლა წამოვიდა და შეხვდა გამხდარ ხარს, მასაც მეორედ ჰკითხა მიზეზი მისი სიგამხდრისა. ხარმა უთხრა: მე იმიტომ ვარ ასე გამხდარი, რომ ჩემს პატრონს რომ მუშაობა მოუნდებოდა, მე სულ ვიმალებოდი, რომ არ მემუშავნა და იმიტომ მამცა ღმერთმა ასეთი ბედი, რომ ბალახიც ბევრი მაქვს, კიდეცა ვჭამ და სულ კი გამხდარი ვარ.

ამას შემდეგ მეფის შვილი წამოვიდა შინ, გამოვიდა ზღვაში და ბევრი სიარულის შემდეგ მოვიდა სახლში მამა მკვდარი დაუხვდა. დარჩა შვილს მამის ქონებაც და მეფობაც. ბაყაყი გადიქცა უმშვენიერეს მზეთ უნახავ ქალათ და იწყეს ბედნიერი ცხოვრება ცოლ-ქმარმა და მათმა საბრძანებელმა. ჭირი იქ და ლხინი აქ, ნაცარი იქ და ფქვილი აქ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გასართობი

### „პატარა კოლას ოცნება"

დედა, მიმეცი სკოლაში,
მეცა მოწაფე ვიქნები,
გაძლევ სიტყვასა, მართალსა
ვისწავლი, ღმერთს გეფიცები.
იცი რა მინდა, დედილო,
შენ რო არ იცი? მაშ გეტყვი
მე ინჟინერი ვიქნები
და ბევრ ფულსაცა ვიშოვი.
მაშინ დავიჭერთ დიდ სახლსა
გვექნება ჩვენი ცხენები,
შენც ასე აღარ იტირებ,
ვიქნებით მუდამ მდიდრები,
შობას ვიყიდით კაკებსა
გოზინაყს, კვერსა, ტკბილ ქადას
ეტლითა წავალთ წირვაზედ
და მერე ვნახავთ დიდედას,
დიდედას მივცემთ ფულებსა,
უყიდით ახალ ლეჩაქსა,
ეტლით ვატარებთ მუდამა,
ის კი მიამბობს ზღაპრებსა
განა არ გჯერა, დედილო,
მაშ რათ იცინი? მითხარი,
ხო ინჟინერი ვიქნები,
სახელოვანი მდიდარი.

ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გამოცანები

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილის მიერ)

დედამ დამბადა უსულო,
სიცოცხლე მომცა მზემაო,
სარჩო ღმერთმა მომიმზადა,
კაცმა კი დამიჩემაო.
მასაზრდოვა და გამზარდა,
ფოთლით სულ თავში მცემაო,
ბნელს ოთახში შევიმალე,
იქ დამიფარა ტყემაო.

—

ტან მაღალსა და ტან წვრილსა
ხის ქუდი მხურავს თავზედა.
ბამბა, მატყლი, აბრეშუმი
ხშირად მაცვია ტანზედა.
ბატონათ მყავს დედაკაცი,
ის ფიქრობს ჩემს ავ-კარგზედა
ის მაცმევს, იგივ მატიტვლებს
ჩემს კაბებს !ყიდის სხვაზედა.

—

კუდი მოკლე, ყური გრძელი,
უყვარს დილა, ნამით სველი.
ჩავარდება განსაცდელში,
არა ვინა ჰყავს მშველელი.
მას მისდევს უკან კუდ გძელი
წაუგრძელებია ყელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოს ისეთს გადახტება,
როგორც ტყიდან ველად მშველი.
დაინახა, შეეშინდა
იყო მისივ სისხლის მსმელი.

—

## ანდაზები

(წარმოდგენილი კ. სეხნიაშვილის მიერ).

ვირი ნურმც ესვრის ძაღლსა წიხლსაო,
თორემ გაიჩენს ამით ჭირსაო.

—

ჯოხ დარტყმული ძაღლი
უკანიდან მოგეწევაო.

—

აკიდებულსა ვირსაო,
ყველანი წაჰკვრენ წიხლსაო.

—

## ჩქარა გამოსათქმელი

(მისგანვე წარმოდგენილი).

ყმა ყმურად ბატონს ყმობდაო.
ყმა ურჩი ბატონს სძულდაო.

—

ობობა ქსელის მქსოველი, ქსელს ჰქსოვდა საქსელ-ქსოვათა, შიგ მსხვერპლი უნდა გაება თვის საჭმელ-სახეთქავათა.

—

## ანაგრამა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილის მიერ)

პირველი უხილავია,
სრულად ხელ შეუხებელი.
არავინ ვარგა უმისოთ—
ბატონი, გინდა მხლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე სარეკავია
ხალხისა დამძახებელი.
მესამე ხმელი ბალახი,
საჭმელში სახმარებელი,
ბევრს ეჯავრება, ბევრისა
გულისა გამხარებელი...
ოთხი ასოთი დაწერავთ
თუმცა არი საფიქრებელი.

---

**ზ მ ა**

(მისივე).

ვიფილოსოფე ლიტრაზე,
იქვე ყანასა მკიდენო,
ვაპირე მივშველებოდი,
„წადიო:“ რა? მიცდიდენო?

**ანდაზა—ზმა**

ხამი წავიდა საქმეზე,
ცხენი ვერ ნახა ბაგაზე.

**შ ა რ ა დ ა**

(წარმოდგენილი ა. შიუკაშვილის მიერ).

თუ გსურთ შეიტყო მე რა ვარ
სიტყვას დაუსვი თავს ზენი.
ბოლოს გამოცნობა გინდა?
„დადის“ სხვა სიტყვით ახსენე.
მთელი—წესია სამღვდელო
საიდუმლო არის ჩვენი.
მას უფრო მაშინ მივმართავთ
როცა შეგვაწუხებს სენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მიხვედრილი ბავშვები.

---

დედა ხვალ სოფელში მიდის მამიდაანთსა და ლიზაც თან მიჰყავს. ლიზა ადრე უნდა ადგეს, რომ ვოგზალზე წასვლა არ დაუგვიანდეს, მაგრამ ადრე ადგომაც ეზარება.

— გადია, გეთაყვა, ხვალ ადრე გამაღვიძე.

— ჰო, გენაცვალოს გადია.

— ძალიან ადრე კი ნუ გამაღვიძებ.

— ქა, მერე როგორ შევიტყო, როდის იქნება ადრეცა და არც ძალიან ადრე?

— რა ძნელია განა? როცა გეტყვი, მაშინ იქნება.

---

**დედა**. ვინ უფრო გიყვარს, დედა თუ მამა?

**ტატო**. მამა.

**დედა**. ვაი შენ ჩემო თავო! მე კი ასე მეგონა, მე და მამა სწორად გიყვარვართ-მეთქი.

**ტატო**. მართალია, სწორად უნდა მიყვარდეთ, მაგრამ მე და მამა კაცები ვართ, და კაცებს ერთმანეთის მხარე უნდა ეჭიროსთ.

---

ქუჩაში მებულკე ყვირის: ფრანცუსკი ბულკი!.. ტიტომ ყური მოჰკრა.

— დედა, ფრანცუსკი ბულკი საფრანგეთიდან მოაქვთ?

ბიძია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგელი, თხა და ციკანი

(ფრანგულით)

**მოქმედნი პირნი.**

დედა მარინე, თეკლე (6 წლისა) სიმონიკა (7 წლისა) და ბიძია თედო.

## გამოსვლა I.

მარინე, სიმონიკა და თეკლე.

**მარინე.** აგრე, ჩემო შვილებო, ხომ სიტყვას მაძლევთ, რომ ჭკვიანათ იქნებით ჩემ აქ არ ყოფნაში.

**სიმონიკა.** ხო, დედილო.

**თეკლე** (იმეორებს ძმის სიტყვებს) ხო, დედილო.

**მარინე.** შენ, სიმონიკავ, დამიწერე რვეულში ერთ გვერდზე ასოები.

**სიმონიკა.** კარგი, დედილო.

**მარინე.** შენ კი ჩემო თეკლე, ცოტა მოქსოვე, თვალები არ ჩაყარო.

**თეკლე.** კარგი, დედილო.

**მარინე.** როდესაც გაათავოთ ორივემ თქვენი საქმე, შეგიძლიანთ რაც გინდოდეთ ითამაშოთ, ოღონდ სახლიდან ნუ გახვალთ.

**ყმაწვილები.** (ერთად) არ სად გავალთ, დედილო.

**მარინე.** კარი არავის გაუღოთ, გესმით!

**ყმაწვილები.** (ერთად) არავის გავუღებთ, დედილო!

**მარინე.** ჩვენ მხარეს ბევრი ქურდები დაწანწალებენ და ამიტომ კარი მაგრათ უნდა გქონდეთ ჩაკეტილი.

**ყმაწვილები.** (ერთად) კარგი, დედილო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარინე.** გავალ თუ არა, მაშინვე კლიტით ჩაკეტეთ კარები და სანამ არ გეტყვით: მე ვარ, თქვენი დედა მარინე, გამიღეთ კარი, ჩემო საყვარელო შვილებო—არავის გაუღოთ.

**ყმაწვილები** (თითო თითოდ) კარგი, დედილო, კარგი.

**მარინე.** ხომ გახსოვთ მე რომ ციკანის ზღაპარი გიამბეთ.

**სიმონიკა.** მახსოვს, დედილო.

**თეკლე.** (ხვეწნით) ოჰ, დედილო, სანამ არ წასულხარ, შენი ჭირიმე, ერთი კიდევ გვიამბე ის ზღაპარი.

**მარინე.** მეც ვფიქრობდი გაგიმეოროთ ის ამბავი.

**ყმაწვილები.** (ტაშის კვრით) რა კარგი იქნება!

**მარინე.** ხომ გახსოვთ, გითხარით რომ ერთხელ თხამ დააპირა საბალახოთ გასვლა. წასვლის წინეთ მან დაუბარა თავის ციკანს, კარი შიგნიდან მაგრათ ჩაეკეტა და არავისთვის არ გაეღო, სანამ თვითონ არ მოვიდოდა და არ დაუძახებდა „თივა მგელს". როგორც კი თხამ შეუხვია ქუჩას, ციკანი დაბრუნდა ბინაზე, კარი შიგნიდამ ჩაიკეტა და დედის მოსვლამდის მიიკუნჭა კუთხეში, რამდენსამე ხანს იყო ასე მოსვენებით, უცბათ მოესმა კარის კაკუნი. „ვინა ხარ მანდ?" ჰკითხა ციკანმა. „თივა მგელს!" უპასუხა ვიღამაც—„თივა მგელს!" გაიმეორა თავისთვის ციკანმა, ეს დედი ჩემის დაბარებული სიტყვებია, მაგრამ ხმა იმისი არ არი. არც აგრე მალე მოვიდოდა; ის მინდორი, საცა საძოვრათ წავიდა, შორს არის და ასე ჩქარა ვერ დაბრუნდებოდა. კარი ხელ ახლათ დაუკაკუნეს. ციკანს ერთი კაი აზრი მოუვიდა თავში.—მიჩვენე შენი თეთრი თათი, თუ არა და არ გაგიღებო კარს. დედა ჩემი რომ იყოს, ფიქრობს ციკანი, თათს გამომიშვერს და ამითი შევიტყობ მართალს. დაუწყო ყურის გდება. თეთრი თათი არ გამოჩნდა. ეტყობოდა რომ მისი დედა არ არი—ის თურმე...

**თეკლე.** (საჩქაროთ მიუგებს დედას) მგელი ყოფილიყო, რომელსაც გაევლო სწორეთ იმ დროს და გაეგო თხის სიტყვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სიმონიკა.** (ისიც სწრაფად) რომელსაც უნდოდა შეპარვა ციკანთან იმ სიტყვებით „თივა მგელს“.

**თეკლე.** მაგრამ ციკანი აგრე სულელი არ იყო და მგელი არ შეუშვა.

**სიმონიკა.** უთხრა—მიჩვენე შენი თეთრი თათიო.

**თეკლე.** (სიცილით) მგელი როგორ უჩვენებდა თეთრ თათს!

**სიმონიკა** (სწრაფად) აბა როგორ უჩვენებდა და სულელი მოშორდა კარს.

**თეკლე.** (ისევ სიცილით) ლამაზი, თეთრი თათი კი ექნებოდა მგელს!

**დედა.** (ხელში კალათას იღებს) აბა, მივდივარ, მიგვიანდება ბაზარში. ვაი თუ კვერცხები ველარ გავყიდო. გააკეთეთ რაც დაგიბარეთ, ხომ ჭკვიანათ იქნებით უჩემოთ. როგორც დაგარიგეთ ისე მოიქეცით. ციკანმა ხომ არ უნდა გაჯობოთ ჭკუით. არავის გაუღოთ კარი, ვინც უნდა აყოს.

**სიმონიკა.** პირობას გაძლევთ, რომ კარს არავის გაუღებთ, სანამ შენ არ გვეტყვი, მე ვარ, თქვენი დედა მარინე, გამიღეთ კარი, ჩემო პაწიებო.

**მარინე.** აგრე, ჩემო გვრიტებო, მშვიდობით, მე არ დავიგვიანებ. (ჰკოცნის ორთავეს და გადის).

**სიმონიკა.** აბა ჩავკეტოთ კარგა კარი, ურდო გავუყაროთ, რომ ვერავინ შემოვიდეს.

**თეკლე.** აბა, ვის გავუღებთ კარებს, თუ არ დედას?

**სიმონიკა.** ჩვენ ციკანივით ჩაკეტილში ვიქნებით და არავის შემოუშვებთ.

**თეკლე.** ხო, არავის შემოვუშვებთ.

**სიმონიკა.** ახლა შევუდგეთ ჩვენ საქმეს. უნდა გავაკეთოთ, რაც დაგვიბარა დედამ.

**თეკლე.** (ამოოხვრით) მართალია, უნდა ვიმუშაოთ (სიმონიკა დაჯდება საწერად, თეკლე იღებს ხელში საქსოვს).

**სიმონიკა.** აი, მოვუჯეგ მაგიდას. კარგათ მოვეწყე.

**თეკლე.** მეც გვერდით მოგიჯდები. აი, ასე. (ორივენი რამდენსამე ხანს ჩუმად მუშაობენ).

**თეკლე.** ნეტა მენახა მაშინ ის მგელი, როდესაც პანღურ ამოკრული მიდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სიმონიკა.** ციკანმა კარგა მასხარათ აიგდო.

**თეკლე.** ეგ სწორეთ კაი ამბავია.

**სიმონიკა.** ახი მოუვიდა მგელს, ის ისეთი ბოროტია. ციკანს რომ კარი გაეღო, მაშინვე შესჭამდა იმას.

**თეკლე.** რას იტყოდა უბედური თხა, როდესაც დაბრუნდებოდა და საწყალი ციკანი არ დაუხვდებოდა.

**სიმონიკა.** როგორ ინაცვლიდა. უბედური!

**თეკლე.** განა, ძალიან ინაღვლიდა, სიმონიკა!

**სიმონიკა.** დაჩუმდი, მომეცალე, მიშლი წერას. მართობ. (ორივე ყმაწვილები ისევ მუყაითად შეუდგენ საქმეს. თეკლე ოხრავს და რამდენჯერმე აგდებს საქსოვს).

**სიმონიკა.** (პატარა სიჩუმის შემდეგ წამოიძახებს დიდი აღტაცებით). ესეც ერთი სტრიქონი გავათავე!

**თეკლე.** (საჩქაროთ წამოვარდება) მიჩვენე!

**სიმონიკა.** დახე, დახე, რა სწორეთ გამოვიყვანე ხაზები?

**თეკლე.** კარგათ დაგიწერია. (უჩვენებს თითით ერთ ადგილს). ხოლო ეს ასო არ ვარგა, მოკაკულია.

**სიმონიკა.** (მოუთმენლათ) იმიტომ რომ ძალიან ძნელია მაგის დაწერა.

**თეკლე.** (ოხვრით) მეც მინდა შენსავით წერა ვისწავლო.

**სიმონიკა.** ჯერ პატარა ხარ. როცა მოიზრდები—გასწავლიან.

**თეკლე.** ამ ქსოვას—ეგ ემჯობინება. რა სასიამოვნოა ამ სიგძე ჩხირების ხელში ჭერა.

**სიმონიკა.** კარგი. დაჯე შენ ადგილას. დამაცა დავწერო...

**თეკლე.** (ბრუნდება თავის ადგილას და იღებს ხელში თავის საქსოვს. გორგალი ძირს უვარდება) უჰ! სად გადამივარდა ძაფი. (მიდის გორგლის ასაღებათ, მერე ისევ ჯდება თავის ადგილას და იწყობს ქსოვას. პატარა ხანს უკან ისევ ანებებს თავს ქსოვას, მუხლზე იღებს საქსოვს. გორგალს შორს გადაისვრის, წავა მის დასაჭერათ, ძაფს არ ახვევს გორგალზე, რამდენჯერმე გორგალს შორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადისვრის და თან ეუბნება): პაწიავ, ჩემო პაწიავ, მოდი ჩემთან. ძაფი სულ დამეხვლანჯა, როგორღა მოვქსოვო! (ცდილობს ძაფი ისევ გორგალზე დაახვიოს. სიმონიკაც ადარა სწერს, დასცქერის თავის ნაწერს და ფურცლავს რვეულს).

**თეკლე.** განა შენი წერა გაათავე, სიმონიკავ?

**სიმონიკა.** არა. ჯერ არ გამითავებია. ნახევარ გვერდის მეტი არ დამიწერია. (კალმით რაღასაც ხატავს. იცინის და აცქერდება ყურადღებით), ეხლა დახედე, თეკლე, განა არა გავს ჩვენ ვირს?

**თეკლე.** (ერთ წამს მიაგდებს საქსოვს და მიუახლოვდება ძმას). მართალია, ძალიან გავს! ეს იმის ოთხი ფეხი, ორი დიდი ყური.

**სიმონიკა.** კუდს შეხედე, კუდს! როგორ მიუგავს!

**თეკლე.** აბა, მამალი დახატე.

**სიმონიკა.** მამალი დავხატო? ახლავე. (ხატავს).

**თეკლე.** (სიხარულით ხტუნავს) რა მშვენივრებაა, თითქოს ახლავე დაიყვირებს: ყიყლიყო.

**სიმონიკა.** (მიბაძავს მამალს) ყიყლიყო! ყიყლიყოო! (მოისმის კარების რახუნი. ყმაწვილები გაოცებით ერთმანერთს შეხედავენ).

**სიმონიკა.** ეს რა ამბავია? დედა არ უნდა იყოს ასე მალე!

**თეკლე.** არა, ის არ იქნება. სულ ცოტა ხანია რაც წავიდა.

**სიმონიკა.** აქედან ქალაქი კარგა შორს არი. მერე სანამ ერბოს და კვერცხებს გაჰყიდის—ამას დრო მოუნდება. (მოისმის ხელახლად ბრახუნი).

**სიმონიკა.** ვინა ხართ?

**კაცის ხმა.** მე ვარ.

**სიმონიკა.** ვინ შენა?

**კაცის ხმა.** მე ვარ! მეგობარი პატარა ყმაწვილებისა.

**სიმონიკა.** დაგვეკარგე აქედან. დედა ჩვენმა გვითხრა, არავინ შემოუშვათო.

**კაცის ხმა.** გააღეთ კარი, გააღეთ! მე ცუდს არაფერს დაგიშავებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სიმონიკა.** ხომ გითხარით, რომ დედამ ნება არ მოგვცა ვისმეს კარი გაუღოთ.

**კაცის ხმა.** სათამაშოები და ტკბილეულობა მოგიტანეთ.

**სიმონიკა.** ისევ უკან წაიღეთ, არ გვესაჭიროება.

**კაცის ხმა.** მე რომ ტკბილი კვერი მაქვს და ქადები!

**თეკლე.** არ გვინდა შენი არაფერი.

**კაცის ხმა.** რა წითელ-ყვითელი არშიები მოგიტანეთ.

**სიმონიკა.** შეინახეთ სხვების მოსატყუებლათ.

**კაცის ხმა.** წითელ-ყვითელი კოჭები.

**თეკლე.** სხვებს მიეცი.

**კაცის ხმა.** შაქრის პურებს და კუპატებს მოგცემთ.

**სიმონიკა.** შენ თვითონ მიირთვი.

**კაცის ხმა.** მერე რა მშვენიერი ბზრიალა მაქვს.

**სიმონიკა.** (თავისთვის) ბზრიალა! რამდენი ხანია რომ ბზრიალა მენატრება. მაინც მაგისი არა მინდა რა (ხმა მაღლა) რას ჩაგვაცივდი. არ მინდა შენი ბზრიალა.

**კაცის ხმა.** მშვენიერი დედოფალა მაქვს პირისფერი კაბით მორთული.

**თეკლე.** (თავისთვის) დედოფალა?

**სიმონიკა.** შენი არაფერი არ გვინდა.

**კაცის ხმა.** ორ პირიანი პატარა ჯაყვა დანას გაჩუქებ.

**სიმონიკა.** (თავისთვის) ჯაყვა დანა? მე ხომ აღარა მაქვს, გამიტყდა.

**კაცის ხმა.** ყელზე შესაბამი ლურჯი მძივი მაქვს.

**თეკლე.** (დაბალის ხმით ძმას). ოჰ! რა მშვენივრება იქნება, ჩემო სიმონიკავ, ყელზე შესაბამი ლურჯი მძივი!

**კაცის ხმა.** გამიღეთ ჩქარა კარი და ყველაფერს მოგცემთ.

**სიმონიკა.** მერე კი გაქვთ ყველაფერი რასაც გვპირდებით?

**კაცის ხმა.** აბა ნახეთ კარების ჭუჭრუტანიდან თუ მართალს არ ვამბობდე.

**სიმონიკა.** (იცქირება—მერე თეკლეს ყურში ჩუმათ ეუბნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ კაცს უშველებელი დიდი წვერი აქვს და ქუდი თვალებზე ჩამოფხატული. არა სტყუის, ჯაყვა დანა ხელში დაუნახე.

**თეკლე.** ახლა მე დამაცადე ვნახო. (თვალს ადებს ჭუჭრუტანას. სიხარულით) ვხედავ, ვხედავ ყელსაბამს... ლურჯი მძივს... კაცი ათამაშებს ხელში აი ასე... ოჰ, რა მშვენიერებაა!.. რა ნაირად მინდა ეგ მძივები! რა იქნება, სიმონიკავ, კარი რომ გავუღოთ?

**სიმონიკა.** დედამ რომ აგვიკრძალა.

**თეკლე.** ხომ გამოართმევ, ჯაყვა დანა რომ გაჩუქოს?

**სიმონიკა.** რასაკვირველია, მაგისთანა საჩუქარი მომეცა. მაგრამ დედას რომ დავპირდით, სიტყვა მივეცით კარს არავის გაუღებთო. (კაცს ჰკითხავს). მართლა მოგვცემ ყველაფერს, რასაც გვპირდებით.?

**კაცის ხმა.** გააღეთ ცოტათ კარი და მოგაწოდებთ ყველაფერს.

**თეკლე.** (ძმას) ჰო, რა უშავს, ხოლოთ ცოტა გავუღოთ კარი.

**სიმონიკა.** (თეკლეს.) მაგრამ, ეგ კაცი ქურდი რომ იყოს.

**თეკლე.** (სწრაფათ) ქურდი როგორ იქნება, რაიმეს მოპარვა რომ უნდოდეს ჩვენ რაღა საჩუქრებს მოგვცემს.

**სიმონიკა.** მართალს ამბობ. მაშ მე კარებს ცოტათ გავუღებ, სულ ცოტათ.

**თეკლე.** ხო, სულ ცოტა გააღე! (სიმონიკა ცოტათი აღებს კარებს. კაცი აწვება კარებს, თუმცა ყმაწვილები არ უშვებენ).

**კაცი.** (ბოხის ხმით) ახლა კი მე ვიცი, თქვენი კარის გაღება აღარ მესაჭიროება!

**თეკლე.** (სიმონიკას ზურგს იქით იმალება). აჰ! ჩემო სიმონიკავ, მეშინიან.

**სიმონიკა.** არ შემოხვიდეთ! არ შემოხვიდეთ.

**კაცი.** (განაგრძობს) მე არ მეგონა რომ, ეგრე მალე შემომიშვებდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სიმონიკა.** (კარებს იჭერს). მე არ გაგიშვებთ რომ შემოხვიდეთ.

**უცხო კაცი გარედან.** (სიცილით) აბა, აბა, ნუ შემომიშვებთ! (ძალით შემოდის).

**სიმონიკა.** აბა, სად არი ჯაყვა დანა, რომ დამპირდი, ან ყელსაბამი ჩემ დას რომ უნდა აჩუქო?

**უცხო კაცი.** (უჩვენებს) აი!

**სიმონიკა.** (ხელს გაუშვერს)—მოგვეცი.

**უცხო კაცი.** ვერ მოგართმევთ აგრე მალე. თუ გინდათ რომ მოგცეთ წამომყევით ორივენი.

**სიმონიკა.** წამოგყვეთ?

**უცხო კაცი.** დიახ.

**სიმონიკა.** სად?

**უცხო კაცი.** ჩემთან.

**სიმონიკა.** როგორ თუ შენთან! დედა ჩვენის სახლი უნდა მივატოვოთ?

**თეკლე.** (ტირილით) არ მინდა! არ მინდა!

**უცხო კაცი.** რაში მეკითხება გინდათ თუ არა. უნდა წამომყვეთ.

**სიმონიკა.** არა, არ წამოგყვებით.

**უცხო კაცი.** ვნახოთ თუ არ წამომყვებით!

**თეკლე.** (ძმას) აჰ! ჩემო სიმონიკავ, გეხვეწები დამმალე სადმე.

**სიმონიკა.** (თამამად) ნუ გეშინიან, გასწი იქით! მე შენ არავის არ დაგანებებ.

**კაცი.** კარგი! კარგი! ნუ იპრანჭებით. უნდა გამომყვეთ.

**სიმონიკა.** არა, არა!

**უცხო კაცი.** (განაგრძობს) ახლავე წამომყევით! რაო, არაო? (ყმაწვილებს-ორივეს ხელს ჰკიდებს და მიათრევს. სიმონიკა არ მისდევს) აბა, წავიდეთ!

**სიმონიკა და თეკლე.** (ყვირიან და ტირიან) დაგვეხსენ, არ გვინდიხარ! (ამ დროს შემოდის მარინე, ყმაწვილები მივარდებიან და ეხვეწებიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სიმონიკა.** დედა, დედილო, გვიშველე!

**თეკლე.** ოჰ, დედილო! ნუ მიგვცემ ამ საძაგელ, ბოროტ, კაცს.

**მარინე.** (უცხო კაცს) ბატონო, ჩემი შვილები თქვენ მიგყავთ?

**უცხო კაცი.** დიაღ, ქალბატონო.

**მარინე.** ეგ თქვენი უფლებაა, მე არ შემიძლიან დავიშალოთ.

**სიმონიკა.** დედილო თავს გვანებებ?

**თეკლე.** მართლა, დედილო, მის ხელში გვაგდებ?

**მარინე.** მართლა.

**სიმონიკა.** აღარ გიყვარს შენი ბუთხუზა?

**თეკლე.** არც შენი პაწია თეკლუა?

**მარინე.** მე არ მიყვარს შვილები, როდესაც ისინი დამჯერნი არ არიან. თქვენ რომ არ გაგეღოთ კარი, როგორც მე დაგიბარეთ, ეგ კაციც არ შემოვიდოდა.

**სიმონიკა და თეკლე.** (ტირილით) მართალია, მართალია.

**სიმონიკა.** მეორეთ აღარ ჩავიდენთ ამ საქმეს. დაგიჯერებთ.

**თეკლე.** (ისიც) აღარ ჩავიდენთ ამ საქმეს, ყველაფერს დაგიჯერებთ.

**სიმონიკა.** რასაც გვეტყვი ამას იქით დაგიჯერებთ.

**თეკლე.** ჰო და, დაგიჯერებთ.

**სიმონიკა.** რა გვეშველება თავი რომ დაგვანებო.

**თეკლე.** რა გვეშველება, დედა რომ არ გვეყოლება.

**სიმონიკა.** ნუ მოგვიშორებ, დედილო!

**თეკლე.** ჩემო საყვარელო დედილო, ნუ მოგვიშორებ!

**მარინე.** ახლა რომ გაპატიოთ, კვლავ დამიჯერებთ?

**სიმონიკა.** სიტყვას გაძლევთ, დედილო!

**თეკლე.** სიტყვას მოგცემთ, დედილო!

**მარინე.** კარგი. ამ გზოჰით მიპატიებია თქვენთვის.

**ყმაწვილები.** ოჰ! რა ბედნიერნი ვართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სიმონიკა.** ხომ აღარ მოგვიშორებ?

**მარინე.** არ მოგიშორებ, ჩემო ბუთხუზავ!

**თეკლე.** ხომ ეტყვი მაგ საძაგელ კაცს თავი დაგვანებოს.

**მარინე.** ჰო, ჩემო პაწია თეკლუავ.

**სიმონიკა.** (ალერსით) ხომ გეყვარებით ადრინდელივით?

**მარინე.** (ეხვევა შვილებს) ჰო, ჩემო პაწიებო.

**უცხო კაცი.** რადგან სიტყვა მოგცეს, რომ კვლავ ყველაფერს დაგიჯერებენ მეც დაპირებულ საჩუქრებს ვაჩუქებ. დაიჭი, სიმონიკავ, ჯაყვა დანა, რომელიც ისე გინდოდა. შენ კი, თეკლევ, აი ყელსაბამი ლურჯი მძივებისა.

**სიმონიკა.** (ართმევს ჯაყვა დანას) ხომ არ დაგვაძალადებ რომ გამოგყვეთ.?

**უცხო კაცი.** არა.

**თეკლე.** (სიხარულით ხტის) ეს ჩემი საჩუქარია?

**უცხო კაცი.** ჰო.

**სიმონიკა.** მაშ თქვენ ქურდი არა ყოფილხართ?

**უცხო კაცი.** (ქუდს იხდის და წვერს ჩამოიხსნის) მიყურეთ.

**ყმაწვილები.** ბიძია თედო ყოფილა!

**ბიძია თედო.** სწორეთ ბიძია თედო ვარ, მე და დედა თქვენს გვინდოდა გამოგვეცადნე. დამჯერი ხართ თუ არა. ვიხუმრეთ ამ ხელათ, მაგრამ სხვა დროს უნდა გაფრთხილდეთ.

**სიმონიკა.** ამას იქით დამჯერი ვიქნებით.

**თეკლე.** ჰო... დამჯერი ვიქნებით.

**ყმაწვილები.** მღერიან და სიცილ-ხარხარით გარბიან.

(ფარდა დაეშვება)

**ან. წერეთლისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი.

1828—1908 წ.

გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი დაიბადა 1828 წელს, 28 აგვისტოს, სოფ. იასნაია პოლიანაში (ტულის გუბერნიაში). მას ჰყავდა სამი ძმა და ერთი და. ორი წლისა არ იქნებოდა, როცა დედა გარდაეცვალა. ობლების აღზრდა იტვირთა შორეულმა ნათესავმა ქალმა ტ. ერგოლსკისამ. როცა ლევი 9 წლისა შეიქნა, მის უფროს ძმას ნიკოლოზს უნივერსიტეტში შესვლის დრო მოუვიდა და, ამიტომ, მთელი ოჯახი მოსკოვში გადასახლდა, 1837 წელს. მაგრამ აქ მოულოდნელათ მამა მოუკვდათ და ობლები, უფროს ძმას გარდა, ისევ იასნაია პოლიანაში დაბრუნდენ.

1840 წელს ობლებს ახალი მზრუნველი დაუნიშნეს, სახელდობრ მათი მამიდა, რომელიც ქალაქ ყაზანში იყო გათხოვილი იუშკოვზე. 12 წლის ლევი ძმებითურთ იძულებული გახდა ყაზანში გადასახლებულიყო. იუშკოვის ოჯახი ყაზანში წარჩინებულ ოჯახად ითვლებოდა, და ობლების მამიდაც სცდილობდა თავისი ძმისწულებისათვის მაღალი საზოგადოების შესაფერი აღზრდა მიეცა. მალე პატარა ლევს საუნივერსიტეტოთ დაუწყეს მზადება. რადგან იმ დროს მაღალი წრის ყმაწვილ-კაცებს უნივერსიტეტში შესვლის დროს მაინცა და მაინც ბევრს ცოდნას არა სთხოვდენ (საქმე უფრო გავლენიანი პირების დახმარებით კეთდებოდა), — თითქმის ბავში, 15 წლის ტოლსტოი უნივერსიტეტში მიაღებინეს. აქ იგი ძლიერ სუსტათ სწავლობდა, რადგან გულს ვერ უდებდა საუნივერსიტეტო მეცნიერებას. თითქმის ოთხ წელს დარჩა უნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერსიტეტში—ორ წელს აღმოსავლეთის ფაკულტეტზე და ორსაც იურიდიულზე, მაგრამ არცერთი ფაკულტეტი არ დაუსრულებია: 1847 წელს, როცა მესამე კურსზე უნდა გადასულიყო, სწავლას თავი დაანება და თავის სამშობლო დედისეულ სოფელს იასნაია პოლიანაში დაბრუნდა.

აქ იგი დაუახლოვდა გლეხებს და გაიცნო მათი გაჭირვებული ყოფა-ცხოვრება. ეს ის დრო იყო, როცა ბატონყმობა ჯერ ისევ მტკიცეთ იდგა მთელს რუსეთში. მთავრობასთან ხელიხელ ჩაკიდებული მებატონეები ტვინსა სწოვდნენ საცოდავ გლეხ-კაცობას. მხოლოდ მცირეოდენი შეგნებული ახალგაზდობა თუ თანაუგრძნობდა საბრალო ყმებს და ფიქრობდა მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ამათ რიცხვს ეკუთვნოდა ახალგაზდა ლევ ტოლსტოიც. იგი ბევრს ზრუნავდა თავისი ყმების ყოფა-ცხოვრებაზე, მაგრამ მალე ცხოვრებამ დაარწმუნა, რომ ყმების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უფრო ღრმა და საფუძვლიანი რეფორმები იყო საჭირო და რომ საამისოდ სრულებითაც არ კმაროდა ზოგიერთი მებატონის გულჩვილობა და გულკეთილობა.

ერთი წლის შემდეგ, 1848 წელს, ტოლსტოიმ დასტოვა სოფელი და მიმართა სატახტო ქალაქების (პეტერბურგისა და შემდეგ მოსკოვის) ქარიშხლიანს ცხოვრებას. მოსკოვში იგი ძლიერ ბევრსა თამაშობდა და საგრძნობლათ შეარყია თავისი ნივთიერი მდგომარეობა: ბევრი ფული წააგო და ვალებში ჩავარდა. მისი საქმე ცუდათ იქნებოდა, რომ ამ დროს (1851 წელს) კავკასიიდან არ დაბრუნებულიყო მისი უფროსი ძმა ნიკოლოზი, რომელიც კავკასიაში მსახურობდა აფიცრად.

ძმის ჩაგონებით, ლევ ტოლსტოი გამოემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მალე აფიცრობა მიიღო. სწორეთ ამ დროიდან იწყება მისი სამწერლო მოღვაწეობა: მისი ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ДѢТСТВО" („ბავშობა"), რომელშიაც საკუთარი ბავშობა აქვს აწერილი, 1852 წელს დაიბეჭდა და მაშინვე საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

ერთი წლის შემდეგ (1853 წ.) დაიწყო ყირიმის ომი

ეროვნული ბიბლიოთეკა



(რუსებისა ოსმალებთან). ტოლსტოიმ დასტოვა კავკასია და გადავიდა დუნაის ლაშქარში; ხოლო 1854—55 წელს მხურვალე მონაწილეობას იღებდა სევასტოპოლის დაცვაში. აქ მამაცი აფიცრის სახელი დაიმსახურა. აქვე დაიწყო ცნობილ „სევასტოპოლის მოთხრობათა“ წერა, რითაც კიდევ უფრო მეტათ დაიმსახურა მკითხველი საზოგადოების ყურადღება. ამბობენ: მის მოთხრობას „სევასტოპოლი 1854 წლის დეკემბერში“ თვით იმპერატორმა მიაქცია ყურადღებაო და ბრძანა ნიჭიერი აფიცერი ომის დროს საშიშ ადგილებზე აღარ დაეყენებიათ. ერთი სიტყვით, სამსახურში ტოლსტოის დიდი წარჩინება მოელოდა, მაგრამ სწორეთ ამ ომის დროს დასწერა ერთი ლექსი, რომლითაც სამუდამოთ დაჰკარგა გავლენიანი წრეების წყალობა. ლექსში ბევრი წარჩინებული ღენერალი ცუდათ იყო მოხსენებული, რისთვისაც „თავხედი“ აფიცერი 1855 წელს საჩქაროთ პეტერბურგში გაიწვიეს.

პეტერბურგში სიხარულით მიიღეს უკვე საკმაოთ ცნობილი ნიჭიერი მწერალი და მაღალი წრის ახალგაზდა აფიცერი. ტოლსტოი აქ დაუახლოვდა ტურგენევსა და მის სალიტერატურო წრეს. მაგრამ დიდის ხნით ვერც მათთან მოახერხა კავშირის დაჭერა. 1857 წელს ტოლსტოიმ მოულოდნელათ დასტოვა პეტერბურგი და უცხოეთში გაემგზავრა. შემდეგ 1860—61 წელს კიდევ გაიმეორა ეს მოგზაურობა. საერთოთ უცხოეთში წელიწად-ნახევარს დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში გულმოდგინეთ ეცნობოდა სწავლა-აღზრდის საქმეს და ყველა იმ დაწესებულებას, რომელსაც აზრად ჰქონდა დაბალი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ტოლსტოი რუსეთში დაბრუნდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ (1861 წელს) და მაშინვე მომრიგებელ შუამავლად გამწესდა თავის მაზრაში. აქ მხნედ შეუდგა ხალხის განათლების საქმეს. ამ აზრით გახსნა სკოლები თავის დედისეულ სოფელს იასნაია-პოლიანაში და მთელს მაზრაში. ამ სკოლათა შორის ყველაზე მეტს ყურადღებას იქცევდა იასნაია პოლიანის სკოლა: აქ უმთავრეს მასწავლებლად თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოლსტოი იყო; სკოლას არავითარი განსაზღვრული პროგრამა არა ჰქონებია; არც არავითარი რამე დისციპლინა არსებობდა: ბავშები ისხდენ ვისაც როგორ უნდოდა და სადაც უნდოდა, მასწავლებელი მხოლოდ ხელმძღვანელობას უწევდათ. ამ უდისციპლინობის მიუხედავათ, სკოლაში სწავლა მაინც ჩინებულათ მიდიოდა. 1862 წლიდან ტოლსტოიმ საკუთარი საპედაგოგიო ჟურნალის გამოცემა დაიწყო; ჟურნალს ერქვა „Ясная Поляна“, რომლის უმთავრესი თანამშრომელი თვითონ ტოლსტოი იყო.

იმავე 1862 წელს ტოლსტოიმ შეირთო ცოლი (სოფიო ანდრიას ასული ბერსისა). ტოლსტოის ჩვეულებად ჰქონდა: ერთხელ დაწერილ თხზულებას 6—8-ჯელ მაინც გადააკეთებდა; და მეუღლე ამ შემთხვევაში დიდს დახმარებას უწევდა გასწორებული ხელნაწერების ხელახლა გადაწერით. ამას შემდეგ თითქმის 12—14 წლის განმავლობაში ტოლსტოი სწერს ორს დიდებულ რომანს: „Война и миръ“-სა („ომი და მშვიდობიანობა“) და „Анна Каренина“-ს („ანნა კარენინისა“). (უკანასკნელი 1876 წელსაა დათავებული). ორივე რომანმა ავტორს უკვდავი სახელი მოუპოვა. პირველი მათგანი („ომი და მშვიდობიანობა“) მთელი რუსეთის დახასიათებას წარმოადგენს იმპერატორის ალექსანდრე I-ელის მეფობაში, ე. ი. მე-XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. ამ რომანში საოცარის ნიჭით დასურათებულია მთელი რუსეთის საზოგადოება იმპერატორებიდან და მინისტრებიდან დაწყებული უბრალო ჯარისკაცებსა და გლეხებამდი.

„ანნა კარენინა“-ს დაწერის შემდეგ ტოლსტოის სამწერლო ნიჭმა განსაკუთრებული მიმართულება მიიღო. მას ჯერ ბავშობიდანვე აღელვებდა საკითხები ღმერთისა, სიკვდილ-სიცოცხლესა, ადამიანის დანიშნულებასა და საიქიო ცხოვრებაზე. უკანასკნელ დროს ამ საკითხებმა მთლათ მოიცვა მისი არსება. ტოლსტოი დაეწაფა ფილოსოფიისა და ძველ ებრაულ-ბერძნული ენების შესწავლას. სურდა ამ ენების შემწეობით დედანშივე გაეცნო ქრისტიანობის პირველ-წყაროები

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაბადება“ ანუ „ბიბლია“); ამას გარდა, იგი დაუახლოვდა სექტანტებს და საბოლოოთ თვითონაც შეჰქმნა ახალი სექტა ანუ სარწმუნოებრივი საზოგადოება, რომელსაც დღეს მილიონობით ჰყავს მიმდევარი მთელ რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. ამ სექტის უმთავრესი მცნებაა: ყველა ადამიანები ძმები არიან, გიყვარდეს ყოველი სულდგმული, რადგან ღმერთი სიყვარულია, ბოროტს ბოროტებითვე ნუ გასცემ პასუხს, ხორცს ნუ სჭამ და სხვანი.—ამავე დროს ტოლსტოი მოთხრობების წერასაც განაგრძობს, მხოლოდ მისი ნაწერები ამ პერიოდში უფრო ზნეობრივ—დარიგებითს ხასიათს ატარებს, ვინემ წმინდა მხატვრულს. ამ პერიოდშია დაწერილი მისი ორი თხზულება: „Власть тьмы“ და „Воскресеніе“.—ტოლსტოი დღესაც განაგრძობს წერას, თუმცა 80 წელსაა, მიღწეული. ტოლსტოის ნაწერები 15 ტომადაა გამოცემული. ზოგი მისი მოთხრობა, მაგალ., „Кавказскій плѣнникъ“, რომელიც ჩვენს ჟურნალში ამ ცოტა ხანში დაიბეჭდება, 250,000 ცალამდეა დღემდის გაყიდული; მეორე მისი მოთხრობა: „Хозяинъ и работникъ“ 200,000 ცალზე მეტი გაყიდულა და სხვა. ერთი სიტყვით, არც ერთ მწერალს რუსეთში იმდენი მკითხველი არა ჰყავს, რამდენიც ტოლსტოის. ბევრი მკითხველი ჰყავს მას უცხოეთშიაც: მისი თხზულებანი თითქმის ყველა ევროპიულ ენებზეა გადათარგმნილი. მისი მოზრდილი რომანი: „Воскресеніе“ („აღდგომა“) და დრამა „Власть тьмы“ („წყვდიადის მეუფება“) ქართულადაც არის გადმოთარგმნილი.

ავგისტოს 28-ს ტოლსტოის დაბადებიდან შეუსრულდა 80 წელიწადი. მთელი რუსეთი და განათლებული კაცობრიობა დიდის ამბით ემზადებოდა ეს დღე ედღესასწაულნა, მაგრამ გარემოებამ ხელი არ შეუწყო.

ს. გორგაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „კიბუნ-დეიზინ“

ამბავი იაპონელი ბავშვისა, რომელმაც მოინდომა პირველი ვაჭარი გამხდარიყო იაპონიაში.

მოთხრობა ჯენზეი მურაისა.

—

## II. ბუნკიჩი განიძრახავს ვანიზამის მოკვლას.

თუმცა სახლის პატრონი ცოლთან ლაპარაკში გართული იყო, მაგრამ დაინახა თუ არა ბუნკიჩი, უთხრა:

— რა ჰქენით, დაათვალიერეთ ბაღი?

— დიახ, გმადლობთ, მე ძალიან მომეწონა,—ზრდილობიანად უპასუხა ბუნკიჩიმ.

— ამ ბავშვის ქცევა სწორედ პატარა „სამურაის“*) ქცევას მაგონებს, უთხრა სახლის პატრონმა ცოლს. იგი არ შეედარება სხვა ბავშვებს. მაგრამ ეს კი უნდა გითხრა, რომ, ჭაბუკს, რომელსაც უნდა გახდეს იაპონიაში პირველი ვაჭარი, არ შეეფერება პატარა ქალიშვილის გართობა. არა, არა; იგი რაც შეიძლება მალე უნდა მაღაზიაში შემოვიდეს, რომ ყველა სავაჭრო საქმეები ისწავლოს. განა მართალს არ ვამბობ, ჩემო ბავშო?

ვაჭარმა გამოთქვა ის, რასაც გრძნობდა თვით ბუნკიჩი და იმან უპასუხა:

— გმადლობთ, გმადლობთ. მე ბედნიერებათ ჩავთვლი თქვენთან სამსახურს—როგორიც უნდა იყოს ეს სამსახური: მაგრამ, თუ ნებას მომცემთ, ერთს რამესა გკითხავთ—მართალია, თუ არა, ამ ზღვის ყურეში ამ მოკლე დროში დაუბუდნია ვანიზამს და რომ იგი დიდს ზარალს აძლევს მცხოვრებლებს?

---

*) სამურაი იყო სამხედრო წოდება იაპონიაში—როგორც ევროპაში საშუალო საუკუნების რაინდების წოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უჰ! ეს ვანიზამი დიდი უბედურებაა ჩვენთვის. ჩვენი მეთევზეები თევზს ველარ იჭერენ, ვაჭრობა დაეცა, რადგანაც გემები ველარ შედიან ზღვაში და თუ ეს ამბავი ბევრ ხანს გაგრძელდა, ცუდი საქმე მოელის ჩვენს ქალაქს. რამდენი არ შეეცადნენ, რომ იგი მოეკლათ, მაგრამ სულ ტყუილათ! ვერაფერი მოუხერხეს.

მაშინ ბუნკიჩი მოწიწებით მიუახლოვდა პატრონს და მიმართა შემდეგი სიტყვებით:

— ბატონო, ერთი რამე უნდა გთხოვოთ. მაგრამ თანაც მეშინიან ამ თხოვნისთვის არ გამაგდოთ როგორც თავ-მომწონე ბიჭი და როგორც მკვეხარა, მაგრამ რაც უნდა მომივიდეს მე მაინც ვბედამ და დაბეჯითებითა გთხოვთ ნება მომცეთ—ვანიზამის მოკვლისა.

— რას ამბობ!—წამოიძახა გაკვირვებით ვაჭარმა:—თქვენ გგონიათ, რომ შესაძლოა ვანიზამის მოკვლა? მთელ ქვეყნიერობაზედ ეს შესანიშნავი საქმე იქნება. მაგრამ ყველაფერი ნაცადი აქვთ და აქამდის ძე ხორციელმა ვერაფერი გააწყო. დიდი თავ-გამოდებით ცდილობდნენ მის მოკვლას გამოცდილნი ვეშაპების დამჭერნი და მონადირენი, მაგრამ ყოველივე ცდა ამაოთ დაურჩათ. მცხოვრებლები შეეჩვივნენ უბედურებას, რადგანაც დარწმუნდნენ, რომ ამას არა ეშველებარა. თუმცა თქვენ სამურაის შვილს მიეგვანებით, მაგრამ ეს მაინც ცამეტი წლის ბავშვის საქმე არ არის. თქვენ კადანო-ურასთან შეიძლება გენახოთ ოთხი-ხუთი ფუტის სიგრძე ვანიზამი (ნათელ-თევზა), მე მჯერა, მაგრამ ჩვენი ზღვის ნათელ-თევზა ისეთი რამ საკვირველებაა, რომ მისი შეხედულობა შიშის ზარსა სცემს ადამიანსა.

— თქვენ ვერ მიხვდით ჩემს სურვილს,—უთხრა ბუნკიჩიმ და თვალი-თვალს გაუყარა თავის მომავალ უფროსს.—მე სრულიადაც არა ვფიქრობ ჩემი ძალით მოვერიო ვანიზამს. მე მსურს, თუ თქვენ ნებას მომცემთ, იმაზე რაიმე ეშმაკობა ვიხმარო.

— როგორ თუ ეშმაკობა? მე მინდა გავიგო რა ეშმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობას ჩაიდენდა რომელიმე მოხერხებული ჭაბუკი ვანიზამის მოსაკლავათ!—სთქვა ღიმილით ვაჭარმა.

— აი როგორ მინდა მოვიქცე: ჯერ გავაკეთებ ჩალისაგან ადამიანის ფიგურას და მის შიგნეულობას ავავსებ შხამით. მერე კაცის ტანისამოს ჩავაცმევ და წავიღებ ამ ფიგურას ზღვის ყურესთან და, როდესაც ნათელ-თევზა გამოეშურება ჩემკენ, ამ ფიგურას გადაუგდებ შესაჭმელათ. ნათელ-თევზა უჭკუო ცხოველია და მზათ არის ყველაფერი ჩანთქას, რასაც კი პირში მოიგდებს და, უეჭველია, ამ ჩალის კაცსაც გადაყლაპავს და ამაში ჩადებული შხამი ბოლოს მოუღებს მას. აი ასე უნდა მოვახერხო და მინდა თქვენი აზრი გავიგო.

— დიახ, თქვენი განძრახვა ჭკუასთან ახლოა, ისიც მართალია, რომ ამ ჩალის კაცს გადაყლაპავს და შიგ ჩადებული შხამი, უეჭველია, მოუღებს ბოლოს მას და ქვეყანა განთავისუფლდება დიდი განსაცდელისაგან. მაგრამ, ჩალის კაცი რომ მოამზადოთ კიდეც, ფულითაც ვერავის იშოვნით, რომ ეს თქვენი ხერხი სისრულეში მოიყვანოს. და არც გასაკვირველია, რადგანაც ხალხი ძალიან შეშინებულია ამ შესაზარი ცხოველისაგან.

ბუნკიჩიმ გაბედულათ უპასუხა:

— ამ მოვალეობას მე თვითონ ვკისრულობ. ხომ მოგეხსენებათ მე ზღვის შვილი ვარ, ჩემი სიყმაწვილე ზღვის პირზე გამიტარებია, მშვენივრათ ვიცი ნავის ნიჩბების მოსმა და ბევრს აქაურ მეზღვაურებს არ ჩამოვრჩები ამ ხელობაში. მე ეს არის ეხლა თქვენი ბაღის ახლო ვნახე მიბმული ნავი და მე თვითონ გავალ ზღვის ყურეს.

ჭაბუკის გულადობით შეშინებულმა ვაჭარმა წამოიძახა:

— ეგ კი სისულელეა, ჩემო ბავშო! ერთიც ვნახოთ ვანიზამიმ გადაგიბრუნოს ნავი და მერე? და მერე ის, რომ თვალის დახამხამებას არ დაგაცლის—ისე გადაგყლაპავს.

— რაც შეეხება ჩემს დაღუპვას, ეს მე სრულიადაც არ მაშინებს, რა ვუყოთ, ვთქვათ, მიზანს ვერ მივახწიო და ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვკვდე; ეს სრულებითაც საძრახისი არ არის, თუ ჩემი სიკვდილით ავაცდენ ხალხს თავიდან იმ ჭირ-ვარამს, რასაც იგი ეხლა განიცდის. და, როგორც წინათაც მოგახსენე, მე გადაწყვეტილი მაქვს—შევიქნე იაპონიაში დიდებულ ვაჭრათ და ამ ჩემი მიზნამდის მისაღწევათ საჭიროა, რომ ახლავე შევაჩვიო თავი ყოველ დაბრკოლებას. თუ ჩემი ბედ-იღბალი გასჭრის, მე სრულიად უვნებელი გამოვალ ბრძოლიდან და უსათუოთ მივაღწევ მიზანს; და თუ ჩემი პირველივე ნაბიჯი საუბედურო იქნება, ეს ჩემი ბედის-წერას მივაწერ და მოხდეს ის, რაც მოსალოდნელია, რომ მოხდეს.

ყმაწვილის ამისთანა გულადობით გაკვირვებულმა ვაჭარმა უთხრა მას:

— მე ძალიან ვაფასებ თქვენ გულადობას და მით უმეტეს უფრო სამძიმოა ჩემთვის თქვენი დაკარგვა. სთქვა ეს და მიუბრუნდა თავის ცოლს. ამ უკანასკნელმაც ქმარს წასჩურჩულა: „მე თქვენ სავსებით გეთანხმებით. ჩვენ უნდა დავიფაროთ ასეთი შესანიშნავი ყმაწვილი და ნება არ მივცეთ, რომ მან სასიკვდილოთ თავი გამოიმეტოს; მაგის მაგივრათ სხვა ვინმე გავგზავნეთ!“

ამ დროს სადაკიჩის თანახლებით ქალიშვილიც გამოჩნდა. იგი დიდხანს ელოდა ყმაწვილს და უთხრა: „ბუნკიჩო, გეთაყვა, სხვა ჭრიჭინა გამიკეთეთ“.

დედამ მაშინვე შეაყენა შვილი და უთხრა:

— ბუნკიჩის მაგისთვის არა სცალიან, ამას სხვა აზრი უტრიალებს თავში—ამას უნდა წავიდეს ზღვაში და ვანიზამი მოჰკლას.

ქალს ძალიან შეეშინდა და წამოიძახა:—ნუ თუ მარტოკა უნდა წასვლა?

— მაშ, მას უნდა, რომ მარტოკა წავიდეს.

— გეთაყვა, დედა, არ გაუშვათ.

— რატომ, ჩემო ბავშო!

— მე მინდა, რომ მაგან კიდევ ლერწმის ჭრიჭინა გამიკეთოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მამა ქალიშვილის სიტყვებზედ ცნობის-მოყვარეობამ გაიტაცა და ჰკითხა:

— რა გინდა, რომ მაგან გაგიკეთოს?

— ოჰ, რო იცოდე, მამა, რა კარგი სათამაშოა—ლერწმის ჭრიჭინა—ის მიფრინავს მაღლა, სულ მაღლა, მიფრინავს სტვენით, უპასუხა ქალიშვილმა.

— ჰო, ახლა მესმის, სთქვა მან—მე ხშირად ვხედამ ხოლმე ლერწმის ჭრიჭინას. მე ისიც ვიცი, რომ ამ სათამაშოს მომგონი დედ-მამის სიყვარულით გამსჭვალული ყმაწვილი ყოფილა. თუმცა ის აქაური არ არის, მაგრამ ჩვენ არე-მარეშიაც ბევრსა ლაპარაკობენ იმაზედ. ყოჩაღ, ჩემო ბუნკიჩო, რომ თქვენც გისწავლიათ მაგის კეთება.

აქ სადაკიჩიმ გააწყვეტინა სიტყვა:

— „ეგ გასაკვირალი არ არის, თვითონ ეგ ჰყიდდა მაგ სათამაშოებს. მე ყველაფერი ვიცი, რადგანაც ყველა ამის მნახველი ვარ კადა-ნო-უროში.

— მაშასადამე თქვენ მოიგონეთ პირველად ეს სათამაშო?—ჰკითხა ვაჭარმა.

ყმაწვილმა თანხმობის ნიშნად თავი მოიხარა. ვაჭარმა, რომელიც უფრო და უფრო აღტაცებაში მოდიოდა ამ ბავშვის ხასიათით, უთხრა:

— მაშ თქვენა ხართ ის ყმაწვილი, რომელზედაც ხალხი ლაპარაკობს და მამის ერთგულობისთვის მაგალითათ მოჰყავთ?

მაშინ ქალიშვილს მოაგონდა ახლახან გაგონილი ამბავი და უთხრა:

— მამა! მისი ოჯახი თურმე ძალიან ღარიბი ყოფილა, რადგანაც მისი მამა ავადმყოფობდა, ეგ იძულებული იყო მოეგონა სათამაშო—ჭრიჭინები და გაეყიდნა და მოგებული ფულით მამისთვის წამალი და ბრინჯი ეყიდნა. ყველა ეს თვითონ მაგან მიამბო.

რამდენსაც მეტს ისმენდა დედა, იმდენათ უფრო ძლიერ აუჩუყდა გული და თვალებზედ ცრემლი მოერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „სწორედ შესანიშნავი ყმაწვილი ყოფილა! არვიცი რა დამემართება—ეგ რომ ზღვაზე წავიდეს".

ვაჭარი დაეთანხმა თავის ცოლს და თქვა:—„მე ახლა სულ მაგას ვეჩიჩინები ამ საშიშ საქმეზედ ხელი აიღოს". მერე მიუბრუნდა ბუნკიჩის და უთხრა: „ასე, ჩემო ბავშო, უარი უნდა სთქვა შენ განძრახვაზე".

ქალიშვილიც ძალიანა ცდილობდა აღეძრა ყმაწვილში შიში და უარი ეთქმევინებინა.—„რა საშინელებაა რომ ვანიზამმა ადამიანი გადაყლაპოს, უთხრა ბუნკიჩის.

მაგრამ ბუნკიჩის შეურყევლათ გადაწყვეტილი ჰქონდა და ამისთვის მან ესე უპასუხა:

—ბატონო, ვაჭრობა ვაჭრისათვის იგივეა, რაც ომი რაინდისთვისა. სიცოცხლის განწირვა რაინდისთვის საპატიო საქმეთ ითვლებოდა. თუ ბედი არა სწყალობდა იგი მტრის მსხვერპლი გახდებოდა. რაინდები წინეთ გადიოდნენ ომში, სიცოცხლე არაფრათ მიაჩნდათ და სიკვდილისა სრულიადაც არ ეშინოდათ. ამისთანა ცხოვრებაში გაკაჟებულები მუდამჟამს მიაღწევდნენ ხოლმე დიდებას. ასეთივე უნდა იყვეს ვაჭარიც, რომელიც ცდილობს გამოჩენილი ვაჭარი გახდეს: იგი არ უნდა ერიდებოდეს დაბრკოლებას და ხიფათს, პირიქით უნდა ეგებებოდეს მათ და მზათ იყვეს საბრძოლველათ. ჩემის ფიქრით მე კარგი შემთხვევა მეძლევა ჩემი ძალა გამოვცადო და ბედნიერებას მივაღწიო. თუ ბედმა არ მიღალატა მე მივაღწევ მიზანს და მოვკლავ ვანიზამს და ეს გარემოება გამამხნევებს მე, რომ სხვა საქმეებშიაც მარჯვეთ ვიყო და საქმე კარგათ წავიყვანო. პირველათვე ვინც გაუბედავია, იგი მუდამ ჟამს გაუბედავი დარჩება. მე ვფიქრობ, რომ ვინც მზათ არის სიცოცხლე გასწიროს, იმისთვის შიში არ არსებობს.

ვაჭარმა რა მოისმინა ყმაწვილის ასეთი შეურყეველი გადაწყვეტილება,—უთხრა იმას:

—ეხლა დავრწმუნდი, რომ შენში უფრო დიდი ღირსება მოიპოვება, ვინემ მე მეგონა. მე მრცხვენიან, რომ შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლი—თუ როგორი უნდა იყვეს კაცი ვაჭრობაში, მაშინ, როდესაც ესევე მე შენთვის უნდა მესწავლებინა. სწორეთ და კარგათა სთქვი, ჩემო ბავშო: მართლა, რომ ვაჭრობა ვაჭრისათვის იგივეა, რაც რაინდისათვის ომი. თუ და საწყისში სუსტი და შეშინებული იქნებით, თქვენ დიდი საქმისთვის ვერ გამოდგებით. რაკი მოდიხართ ბედის საცდელათ—წადით, ჩემო ბავშვო, მე ახლა თქვენი ხელის შემშლელი აღარ ვიქნები. რაც შეეხება ამ საქმისთვის მომზადებას—ჩალის ფიგურის მასალას და შხამის ყიდვას—ყველა ამას მე მოგიხერხებ. თქვენ კი ადით აი იმ მთაზედ და დააკვირდით იქიდან იმ ადგილს, სადაც ვანიზამი გაჩნდება ხოლმე. თქვენ, სადაკიჩ, წაჰყევ და წაიყვანე გორა სომივოშზედ, დაანახვეთ მას ეს საშინელება, როდესაც იგი გამოჩნდება ზღვაში.

ბუნკიჩი აღტაცებაში მოვიდა ამ განკარგულებითა და სთქვა:

— მაშ აფთექარს შეუკვეთეთ მოამზადოს მეტად შხამიანი ბალახეულობა და მე კი წავალ და უდარაჯებ ამ საშინელებას.

როდესაც მან განიძრახა წასვლა, ქალიშვილმა უკმაყოფილოთ ჰკითხა:

— ბუნკიჩ, თქვენ როდის გამიკეთებთ ჭრიჭინას?

— როდესაც დავბრუნდები მაშინ—უპასუხა მან.

— ახლა თავი დაანებე. არ შეიძლება მაგ უბრალო რამეებით თავის მობეზრება—უთხრა დედამ.

ორივე ყმაწვილი, ბუნკიჩი და სადაკიჩი, ხელის-ხელ ჩაბმულები—მიეჩქარებოდნენ სომივოშისაკენ. მთა მჭიდროთ ამართულიყო ზღვის ზევით, ხმიანი ტალღები ხვდებოდნენ მის ძირს ჩრდილოეთის მხარეზედ. ხშირი ფიჭის ხეები ფარავდნენ მთასა; ქარი აშრიალებდა ფიჭვსა და ეს ხმა უერთდებოდა ტალღების ხმაურობას და რაღაც უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზედ. ბუნკიჩი რა კი მთის წვერზედ ავიდა, წამოწვა მიწაზედ და გულ-მოდგინეთ ათვალიერებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის ტოტსა — კუმანო ბეის, რომელიც ფართოთ გადაშლილიყო ყმაწვილის თვალ წინ. ნაპირი არსად მოჩანდა; მხოლოთ თვალს ეჩხირებოდა ხაზი, სადაც მტრედის ფერი ცის კამარა შეერთებოდა ოკეანეს სილურჯეს.

ბუნკიჩიმ ამგვარათ გაატარა რამდენიმე წუთი, მერე კი მიუბრუნდა სადაკიჩის და უთხრა:

— რას იტყვი! მართლა რომ ნეტარებაა ამისთანა ზღვის დანახვა. მე საშინლად მიყვარს ასეთი შექმუხვნილი ზღვა. რანაირათ მიზიდავს იგი საცურავათ.



— ნუ ამბობთ მაგისთანა სისულელეს. რამ წამს შეხვალთ იქ — იმწამსვე იმისი მსხვერპლი შეიქნებით.

— აი სწორეთ მაგასა ვნატრობ. მე მაშინვე ჩავიყურყუმელავებდი წყალში და თავს დავაღწევდი მორევიდგან. ახლა ეს მითხარით — ვანიზამი რა ადგილას ამოჰყოფს ხოლმე თავსა?

— იგი სწორეთ ამ კლდის ძირში გამოჩნდება ხოლმე, უპასუხა მან.

მაშინ, როდესაც ორივე ყმაწვილი მისჩერებოდნენ წყლის ზენა-პირას, მართლაც გამოჩნდა ვანიზამი და თავისი ზურგით ააშფოთა წყალი. ეს საშინელება მიდი-მოდიოდა აქეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქით, ხან თავს გამოაჩენდა, ხან ბოლოსა, კაცი ვერ მიხვდებოდა, სასუნს ეძებდა, თუ დაცელქობდა. მისი კლდის მზგავსი ზურგი, მისი საცურავი იარაღი, რომელიც რკინას მოგაგონებდათ, ისეთნაირ საშიშს რამეებს წარმოადგენდნენ, რომ დიდებისათვისაც კი თავზარ დასაცემი იყო.

სადაკიჩიმ, შეშინებულმა ამ სანახაობით, უთხრა თავის ამხანაგს:

— ეხლა უეჭველია, ბუნკიჩ, ამ საშინელების ნახვის შემდეგ, უარს იტყვით თქვენ განზრახვაზედ.

— რათა? რისთვის? თქვენა გგონიათ შევშინდი ამ პატარა თევზის დანახვაზე?—სულაც არა, უპასუხა ბუნკიჩიმ.

— თქვენ რეებს ლაპარაკობთ—უთხრა სადაკიჩიმ. ნუ თუ ამ ბუმბერაზ ცხოველს პატარა თევზს უძახით?

— თუ იღბალი ჩემკენ იქნება, მე მაგას კი არა—თვით ვეშაპსა და ნიანგს მოვკლავდი.

ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც მძაფრმა ქარმა გადაუარა სომივოშის ტყეს, კვლავ გახმაურდა ფიჭვნარი და ძირს კი აბურთდა, აჩოჩქოლდა ზღვის ტალღები. მომეტებული ძალით გაეხახუნა ვანიზამი უზარმაზარ კლდის კედლებს. ყმაწვილები იდგნენ და უცქეროდნენ ამ სურათებს. ერთი მათგანი სულ იმის ცდაში იყო დაერწმუნებინა მეორე, რომ სახლში სჯობია წასვლა, მეორე კი ამაყათ იცამდა თავის განძრახვის სისრულეში მოყვანას და აღტაცებით ავლებდა თვალს ამ ბუნების შესანიშნავ სურათებს.

ალ. ნ—ძე.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფო წოდება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

## I.

როდესაც ქრისტეფორე კოლუმბმა 1492 წელს აღმოაჩინა ამერიკა, ის დარწმუნებული იყო, რომ იმის მიერ აღმოჩენილი ახალი ქვეყანა წარმოადგენდა ინდოეთს. შემდეგ და შემდეგ დარწმუნდენ, რომ კოლუმბის მიერ აღმოჩენილი ქვეყანა სრულებით ახალი და უცნობი ნაწილი იყო დედამიწისა და ამ ახალ ქვეყანას დაარქვეს სახელათ ამერიკა—მოგზაური ამერიკო ვესპუჩის პატივისცემით. ამერიკაში იწყეს გადასახლება ესპანეთიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან და ჰოლლანდიიდან. ამ გვარათ დაარსდა პატარ პატარა ახალშენები. ახალშენები თავის სამშობლოსთან კავშირს არა სწყვეტდენ და თავისი სამშობლოს მთავრობას ემორჩილებოდენ. ის კუთხე, რომელსაც დაიკავებდენ ინგლისელები, ითვლებოდა ინგლისის საკუთრებათ, ფრანგების მიერ დაკავებული ნაწილი ირიცხებოდა საფრანგეთის საკუთრებათ და სხვ.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ინგლისელებს ეკუთვნოდა ამერიკაში ორი ახალშენი ანუ კოლონია: ვირგინია და ახალი ინგლისი. როცა მცხოვრებთა რიცხვი მომრავლდა, ვირგინია გაჰყვეს ხუთ ნაწილათ, ანუ შტატათ, ახალი ინგლისი კი რვა შტატათ. რას აკეთებდენ ამ დროს აქ გადმოსახლებული ინგლისელები? უმთავრესათ თამბაქო მოჰყავდათ. თამბაქო ინგლისში უცნობი იყო, ის გადმოიტანეს ამერიკიდან მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში და თამბაქოს წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვა საშინლათ გავრცელდა. თამბაქოს მოყვანა დიდ შემოსავალს იძლეოდა, ამიტომ ამერიკის ახალშენებმა უმთავრესათ მეურნეობის ამ დარგს მოჰკიდეს ხელი. როგორი მართვა-გამგეობა იყო ახალშენებში? ინგლისი ნიშნავდა ახალშენებში გუბერნატორს. ახალშენები ირჩევდენ თავთავის წარმომადგენლებს, რომლებიც ერთად შეადგენდენ საბჭოს: აი ეს საბჭო და გუბერნატორი მართავდენ ახალშენების საქმეებს. თავის შინაურ საქმეებში ახალშენები პირველ ხანებში სრულებით დამოუკიდებელი იყვენ. გადასახადების გაწესრიგება, სწავლა-განათლება, გზების გაკეთება, პოლიცია—მათი საკუთარის გამგებლობის ქვეშ იყო და ყველა ამ საქმეებში ახალშენები ინგლისის მთავრობას არც დაეკითხებოდენ, არც პასუხს აძლევდენ. კოლონიები აძლევდენ ინგლისს გადასახადს, ხოლო გადასახადის რაოდენობის განსაზღვრული იყო თვეთ კოლონების საქმე,—თვით კოლუმბის ნება დაურთველათ ინგლისის მთავრობა კანონით ვერ შამოიღებდა ვერავითარ გადასახადს. მეჩვიდმეტე საუკუნეში ჰოლლანდიამაც დააარსა ახალშენები ამერიკაში, მაგრამ ეს ახალშენები ინგლისმა დაიპყრო უმეტეს ნაწილს ახალშენების მცხოვრებლებისას წარმოადგენდნენ ინგლისელები; იყვნენ აგრეთვე ჰოლლანდელები, ესპანელები, ნემცები, ფრანცუზები და ურიებიც.

რაც დრო გადიოდა, ინგლისი თანდათან უფრო ავიწროებდა ახალშენებს. ახალშენებს არ შეეძლოთ სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა,—ყოველისფერი მარტო ინგლისში უნდა გაეგზავნათ. ინგლისის ვაჭრები ამით სარგებლობდენ ახალშენებიდან მოსულ საქონელს ძალიან იაფათ შოულობდენ და თვითონ კი ევროპის სხვა სახელმწიფოებში ჰყიდდენ ძვირათ. ინგლისის მთავრობამ მოითხოვა ახალი გადასახადები ახალშენებისაგან, დაგზავნა ახალშენებში ჯარი და მისი შენახვა ახალშენებს დაავალა. ახალშენებში ნელა ნელა დაიბადა უკმაყოფილება და, რაც უფრო ავიწროებდა ინგლისი ახალშენებს და ზღუდავდა მათს თავისუფლებას, ეს უკმაყო-

ფილება მით უფრო იზრდებოდა. თუ ახალშენები გზავნი-
დენ ინგლისში თავის საქონელს, სამაგიეროთ ინგლისიდან
ღებულობდენ ისინი ყოველისფერს. ინგლისიდან მოტანილ
საქონელზედ ახალშენები ბაჟს იხდიდენ. ეს ბაჟი პირველათ
პატარა იყო, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მთავრობამ ძალიან
გაზარდა, განსაკუთრებით ზოგიერთ საქონელზე, რომელიც
ახალშენებში უფრო სალდებოდა. ამერიკაში ნელა—ნელა და-
იბადა აზრი ინგლისის ბატონობის თავიდან მოშორებისა· გა-
იმართა ხალხში აგიტაცია: სხვადასხვა ახალშენების წარმო-
მადგენლები ხშირათ ერთათ იკრიბებოდენ და ბჭობდენ,
თუ როგორ და რა გზით მოეპოებიათ სრული დამოუკიდებ-
ლობა.

ამგვარათ ინგლისის ძალმომრეობამ თანდათან შეაერთა
ყველა ახალშენები და შეაგნებინა მათ, რომ საერთო ძალ-
ღონით უნდა გაენთავისუფლებიათ მათ ამერიკა. ხალხმა იწ-
ყო მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. მეთვრამეტე სა-
უკუნის გასულს ვაშინგტონი აირჩიეს ჯარის უფროსად და
მალე ყველა ახალშენები აჯანყდენ. ვისაც კი გული და მა-
ჯა შესწევდა, ყველამ იარაღს მოჰკიდა ხელი. აირჩიეს კო-
მიტეტი, რომელმაც მალე შეიმუშავა ახალშენების დამოუკი-
დებლობის დეკლარაცია და გამოაცხადა: ყველა ადამიანები
თანასწორნი არიან და სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნი-
ერება მათს უფლებას შეადგენს; მთავრობის მოვალეობაა
ამ უფლების დაცვა და უზრუნველ ყოფა; თუ ის ამ უფლე-
ბას არღვევს, მაშინ ხალხს ნება აქვს, სხვა მთავრობა აირჩი-
ოსო. ინგლისის მთავრობამ დაარღვია ახალშენების უფლებ-
ნი; თავისუფლების მოყვარული ახალშენები აღარ მოითმენენ
აწი ძალმომრეობას და აცხადებენ, რომ დღეიდან ახალშე-
ნები შეადგენენ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებიც
ერთათ წარმოადგენენ დამოუკიდებელ სახელმწიფოსო· ამ
დღიდან იწყება ომი ინგლისსა და ამერიკას შორის. ომი
გაგრძელდა შვიდ წელიწადს 1781 წლამდე და დასრულდა
ამერიკის სრული გამარჯვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვების შემდეგ უმთავრესი საქმე იყო მმართველობის მოწყობა. ახალ რესპუბლიკას შეადგენდა ცამეტი შტატი. ყველა შტატებმა აირჩიეს დეპუტატები, რომლებიც ერთათ შეადგენდენ კონგრესს. კონგრესს უნდა ეწარმოებინა ყველა შტატების საქმეები. თავის კერძო შინაურ საქმეებში კი ყოველი შტატი დამოუკიდებელი იყო, მას ჰყავდა საკუთარი მთავრობა, ჰქონდა საკუთარი კანონები, თვითონ აწესრიგებდა გადასახადებს, სწავლა-განათლების საქმეს და სხვ.

შტატებს ჰქონდათ ბევრი თავისუფალი ადგილები, რომელზედაც ესახლებოდენ ევროპიდან წამოსულები. კონგრესმა გამოაცხადა: როცა ახალ ალაგზე დასახლებულთა რიცხვი ხუთი ათასს აღემატება, ის ჩაირიცხება ცალკე შტატათ და კონგრესში ერთი წარმომადგენლის არსების უფლება მიეცემაო. ამგვარათ ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდნენ თავისუფალი სახელმწიფოების ფედერაციას. 1787 წელს კონგრესმა მოიწვია შტატების წარმომადგენლები ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლათ და მალე წარმომადგენლების კრებამ შეიმუშავა კონსტიტუცია, რომელიც დღემდე უდევს საფუძვლათ შტატების პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ წყობილებას. ახალი კონსტიტუციით საკანონმდებლო უფლება გარდაეცა კონგრესს, რომელსაც შეადგენდა ორი პალატა: დეპუტატების პალატა და სენატი. აღმასრულებელ ძალას წარმოადგენდა პრეზიდენტი, რომელიც ითვლებოდა ჯარის უფროსად და თვითონ ნიშნავდა მინისტრებსა და სხვა მოხელეებს. როცა შტატებმა მიიღეს ახალი კონსტიტუცია, პრეზიდენტათ არჩეულ იქმნა ვაშინგტონი. ეს მოხდა 1789 წელსა. სატახტო ქალაქათ დანიშნეს ქალაქი ვაშინგტონი.

წარმოების მხრივ შტატები განიყოფებოდენ ორ ნაწილათ. ჩრდილოეთისაკენ, სადაც ბუნება უფრო სასტიკი იყო და სამაგიეროთ მადნეულობა ბევრი, უფრო განვითარდა მრეწველობა; სამხრეთისაკენ კი ფეხი მოიკიდა მეურნეობამ— განსაკუთრებით თამბაქოსა და სიმინდის მოყვანამ. ამ დროს ამერიკაში სარგებლობდენ მონების შრომით. მონებს ყიდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლობდენ აფრიკაში. მონები უმთავრესად ხამები იყვენ. ჩრდილოეთის შტატებში, სადა საქარხნო წარმოება იყო გავრცელებული, მონების შრომა საჭირო არ იყო და აქ მცხოვრებლები მონებით ვაჭრობის დიდი წინააღმდეგნი იყვენ. სამაგიეროთ სამხრეთ შტატებში, სადა მეურნეობა იყო აყვავებული, მონებით ვაჭრობა მეტათ გავრცელებული იყო. მთავრობამ მოინდომა ამ სამარცხვინო ვაჭრობის მოსპობა და მთელი მონების განთავისუფლება, მაგრამ სამხრეთის შტატები დიდი წინააღმდეგი იყვენ და მონებით ვაჭრობას აქ ისინიც კი იცავდენ, ვინც დემოკრატებათ იწოდებოდენ. მონების რიცხვი ამერიკაში ამ დროს რამოდენიმე მილიონს უდრიდა. მათი მდგომარეობა აუტანელი იყო. მდიდარი მემამულეები, რომელთა სრულ საკუთრებასაც მონები შეადგენდენ, ისე ეპყრობოდენ მათ, როგორც პირუტყვებს და აუტანელის შრომით ხდიდენ სულს. მონებმა ერთხელ 1859 წელს. აჯანყების დროშაც კი ააფრიალეს, მაგრამ დამარცხდენ. როცა მესამოცე წლებში რესპუბლიკის პრეზიდენტათ აირჩიეს ლინკოლნი, რომელიც მედგარი დამცველი იყო მონების განთავისუფლებისა, სამხრეთის შტატებმა გადასწყვიტეს: მთავრობა უსათუოთ მოსპობს მონობასო და გამოაცხადეს: ჩვენ ვსწყვეტავთ კავშირს შტატებთან ცალკე რესპუბლიკას ვაარსებთო. ამ გარემოებამ გამოიწვია შინაური ომი ამერიკაში. ომი გაგრძელდა რამდენიმე წელიწადს და დასრულდა მონების სრული განთავისუფლებით და მონებით ვაჭრობის მოსპობით. როდესაც ამერიკის შინაური ცხოვრება დაწყნარდა, მრეწველობამ, ვაჭრობამ, მეურნეობაში საშინელის სისწრაფით იწყეს განვითარება; შტატები რკინის გზებით დაისერენ და დღეს ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა წარმოადგენს მეტათ მდიდარ და ყოველ მხრივათ განვითარებულ სახელმწიფოს.

**ი. გომართელი.**

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გ ვ ა ლ ვ ა

(ლეგენდა)

(ჩაწერილი ი. ალხაზიშვილის მიერ).



ტიტომ გულში ჩაიბეჭდა
დედაბრისა ნათქვამიო,
მთელი კვირა გზას იარა
ვერ უწია მანძილიო.

* * *

ტიმო ძილში იმას ფიქრობს,
როდის ნახავს ნეტა ღმერთსა,
გუდაშიც პური დაობდა,
ნიორიც-კი ბევრი ძევსა.

* * *

მეცხრე ღამეს მთას ავიდა,
ტყის სიგრილით მიდიოდა,
დაქანცულსა დაეძინა,
სიო ტყისა დასდიოდა.

* * *

სიზმრად ნახა მომკვდარიყო:
კიბე სდგას და ცამდე ადის,
ანგელოზნი მწკრივად სდგანან,
კიბის თავში თვით ღმერთი ზის.

* * *

ტიმოც ადის კიბეზედა...
აქეთ-იქით ჩოჩქოლია—
სამოთხეში არ მიიღეს,
მწერლის რიგი შეშლია.

* * *

ჯოჯოხეთშიც ასე უთხრეს;
შენ ვინა ხარ, არ გიცნობთო
დავთრებშიაც არ სწერიხარ,
თორემ არ კი დაგინდობთო.

* * *

შუქურ ანგელოზმა უთხრა;
ჯერ იწექი მიწაშიო.
მოგივა დრო მოგიკითხვენ,
ახლა გვმართებს ბოდიშიო.

*
* *

ტიმოს სული შეუწუხდა,
ჭირის ოფლში იწურება,
არც სამოთხეს, არც ჯოჯოხეთს
ადგილი არ ეშოება!..

*
* *

სამარესთან ქვასა სთხრიდნენ,
ლომი დაჭკრეს არ აჭყვათ·
ლაღმი მისცეს, ამოაგდეს,
ტიმოც ქვასა ამოჭყვათ·

VI

ტიმომ თვალი გაახილა,
დილა მეტად გრილი იყო,
გამოერკვა... ღმერთს მადლიო,
რომ ყველაი სიზმრად იყო...

*
* *

გაიკვირვა!.. რა ადგილას,
რა ქვეყანას მომხდარიყო,
მთა და ბარი ზურმუხტისა,
წყაროებით სავსე იყო.

*
* *

მინდორ-ველი მოქარგული,
ყანებიცა მაძღარ იყო,
ია-ვარდის სურნელებით
იადონი დამთვრალიყო.

*
* *

მაღალ გორის ტყის ნაპირი,
ხშირ ბუჩქნარით მორთულიყო,
ვარდი ვაზით ჩახლართული
ხეობაცა ჭრელი იყო.

*
* *

ლაჟვარდი ცა კრიალებდა,
შველი წყალზე ჩასულიყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათას გვარი ფრინველთ სტვენა,
ოქროს ხოხბით სავსე იყო.

* * *

ამისთანა შემკულობა,
არ ენახა ტიმოთესა,
იფიქრა რო აწ მეშველა
ვღირსევი სამოთხესა.

* * *

პური წყაროში ჩაალბო,
შეექცევა საუზმესა—
ჩიტი, გვრიტი, იადონი,
უგალობენ მზის სხივებსა.

* * *

ტიმომ სერზე დაინახა,
თეთრ რაშზედა წვერ-ჭაღარა,
ტანსა ეცვა თეთრი ჯუბა,
სამკაულიც მთლად ჯავარა.

* * *

ტიმოთეი ჯერ თუ შეკრთა,
მერე სერი აირბინა—
— „ბედს ვეწიე, ვღირსევი,
ღმერთი თვითონ მომევლინა“.

* * *

დაუჩოქა ცხენოსანსა,
ძირს გაერთხო მუდარითა,
ცალი ხელი ოქროს იკრა
დააბნია სიჩქარითა.

* * *

აგერ ღმერთო, ასი ოქრო,
სოფელმა რო შემოგწირა,
გთხოვეს წვიმა გამოგზავნო,
შიმშილობამ მთლად გაგვწირა.

* * *

ნუ დაგვსაჯავ შენსა მადლსა,
ბოლო წივის შიმშილითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდო თუმცა ბევრი გვადევს;
შეგვინდევი სულგრძნობითა.

*
* *

...მონადირე მთლად გაოცდა,
ქორ-მექებრებს დაუსტვინა,
ცხენს დეზი ჰკრა, უწრუწუნა,
ქორი ხოხობს გაუყენა.

*
* *

ტიმო მაინც არ ეშვება-..
„ნუ ინებებ დაღუპვასო,
სიცოცხლე გვაპატიე,
საღმთოსა ვიქთ კიდევ სხვასო.

*
* *

მონადირე მაშინ მიხვდა,
ტიმო იყო მოხისელი;
ასი ოქრო ჯიბეს იკრა,
თანახმობის მისცა ხელი.

*
* *

— „წადი... წვიმას გამოვგზავნი;
მოგშორდებათ გორახ-მტვერი,
გაცოცხლდება მთა და ბარი,
ჭირნახულსა მიჰყეთ ხელი.

VII

ვიდრე ტიმო შინ მივიდა,
დიდი წვიმა მოსულიყო,
სოფელი მთლად გაახარა,
რუც წყალითა გავსილიყო.

*
* *

... ელიამ ეტლი მომართა,
დღე და ღამე გრიალებდა,
ელვა, ჭექა-ქუხილითა,
ღრუბელთ გროვა ტრიალებდა.

*
* *

წვიმა სოფელს შეეჩვია...
ზედი-ზედა მოდიოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვეზე მეტი თავსხმა არი,
ხალხი ბედსა უჩიოდა.

*
* *

ორჯერ მეხი ჩამოვარდა,
ხარი მოჰკლა მინდორშია,
ამაყ მუხას თავში დაჰკრა,
ჩახლიჩა შიგ ტოტებშია.

*
* *

ვენახიც სეტყვამ დარეგვა,
ჩამოყარა ისვრიმია,
მღვრიე წყალმა თევზს უმატა,
გუბეებში ყიყინია.

XI

სოფლად ხალხი შეიკრიბა,
აყვედრიან ერთმანეთსა,—
რათ ვგზანიდით იმდენ ფულსა,
ვაკმარებდით ას მანეთსა.

*
* *

— „ძველის ძველად ნაქებია,
პური, ღვინო გვალვისაო,
რას ვაქნევდით ამდენს წვიმას,
ყანებია ღვარძლისაო.

*
* *

ქვრივ-ოხერმაც ღმერთი დაჰგმო!
— „რით ვარჩინო ობლებიო—
დაგექცა ეგ სამართალი,
ჩამოგენგრეს ეგ ტახტიო“.

*
* *

სხვებმაც სთქვეს, რო მართალია,
ბარე მეტიც მოგვივიდა...
ვინ იცოდა თუ ას ოქროთ,
შვიდ კვირემდის იწვიმებდა.

(დასასრული)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მანქანა მეფეა

და

## შრომა—ფული.

(დასასრული)

მსხვილი მრეწველები აი კიდევ რა ხერხით ერე-ვიან თავიანთ კონკურენტებს.

მრეწველი ჰყიდის თავის საქონელს ძალიან და-ბალ ფასებში, თითქმის ზარალსაც ხედავს. თუ მისი კონკურენტი ვერ იქს ამასვე, ის მაშინვე იძულებულია თავი დაანებოს ვაჭრობას, რადგანაც ეს ფასები მისთვის ხელსაყრელი არ არის. წვრილი მრეწველი იღუპება და ქარხანას ხურავს. აი ამას ელის მსხვილი მრეწველი. ის ეხლა უმატებს ფასებს —აქ მას ხომ არავინ არა ჰყავს ხელის შემშლელი. მაგრამ ისეთი მაგალითიც ყოფილა, რომ მრეწველს არ დაუნებებია თავი და მიუმართნია სხვა ხერხისათვის.

ასეთი ომი დაიწყო ორ მდიდართა შორის: გულდმა და ვანდერველდმა დაიწყეს კონკურენცია. ორთავეს აქვთ თავი-სი რკინის გზები კანადიდან—ნიუ-იორკამდეო. ამ რკინის გზით გადააქვთ საქონელი. რომ მარტო თავის ხელში ეგ-დოთ საქონლის გადატანა, თვითოულმა დაუკლო ფასი გა-დატანისა. თითქმის სულ ზარალობდენ, მაგრამ თავს არ ანებებდენ გაცხარებულ ომს.

ბოლოს გულდი თითქოს დამორჩილდა: ფასს აღარ უკ-ლებდა, მაგრამ დახეთ მის ეშმაკობას. გულდი ყიდულობდა კანადაში საქონელს დაბალ ფასებში, გადაჰქონდა ეს საქო-ნელი თავის კონკურენტის რკინის გზით, სადაც ფასები ისე დაკლებული იყო, და მერმე ჰყიდდა საქონელს ნიუ-იორკში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ძლიერ ძვირათ. ამ რიგათ გულდი მდიდრდებოდა იმით, რითაც აღარიბებდა მის მტერს.

ასეთი ომი ორ კაპიტალისტთა შორის ადვილად არ თავდება და ხშირად ღუპავს ორთავეს. ამიტომაც ისინი ყოველთვის ცდილობენ მორიგდენ და ხშირათ გუშინდელი მტრები ხდებიან მეგობრებათ და ერთდა იმავე საქმეში იღებენ მონაწილეობას. მრეწველები აარსებენ კავშირს და პირობასა სდებენ გაყიდონ საქონელი დანიშნულ ფასებში, ან მარტო დანიშნული რიცხვი ამ საქონლისა გაუშვან ბაზარში, ან კიდევ მარტო დანიშნულს ოლქში ჰყიდონ თავისი ნაწარმოები და ამითი არ წაართვან სამუშავო სხვა ოლქის მრეწველს.

მსხვილი მრეწველები აარსებენ ახლა დიდ კავშირებს, რომელშიაც თვითოული მრეწველი თითქოს კარგავს თავის ნებას და ემორჩილება საერთო ნებას იმ პირთა, რომელნიც საქმის მეთაურებათ ითვლებიან. ამ უკანასკნელთ შეუძლიათ გააფართოვონ თავისი საქმე, ან შეამცირონ, შეუძლიათ კიდეც დახურონ ყველა ქარხნები, თუ ნახეს ამის საჭიროება. თვითოული მრეწველი იღებს თავის ნაწილს მოგებისას.

ასეთი კავშირები ძლიერ გავრცელებულია ამერიკაში, სადაც მათ აქვთ საკუთარი სახელი „ტრესტი". ყველა დარგები მრეწველობისა შედიან ამ ტრესტში და არც ეშინიათ არავითარ კონკურენციისა, რადგანაც ტრესტის ქონება უთვალავია, და აბა სად შეუძლიათ წვრილ მრეწველებს ამოუდგენ მათ გვერდში.

ფოლადის ტრესტი არის სუყველაზე ძლიერი. ამ ტრესტს აქვს 149 ფოლადის ქარხანა, თითქმის ყველა მადნები ეკუთვნის მას, რამოდენიმე რკინის გზა თავის მოწყობილობით, და მთელი ფლოტი გემებისა, როგორც ზღვაზე ისე მდინარეზე მავალისა. მის ქარხნებში ამ ჟამათ მუშაობს 170 000 კაცი. ადვილი წარმოსადგენია, რომ ტრესტების ძალა ვეებერთელაა იმ ქვეყანაში, სადაც არის გავრცელებული ამ გვარი კავშირები. ტრესტი ნიშნავს ფასებს, და ვაი იმ მრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს ვინც მას არ დაუმორჩილდება—მისი ბედ-იღბალი გადაწყვეტილია—ის ვერ გადურჩება გაკოტრებას.

თამბაქოს ტრესტი ყიდულობს თამბაქოს, ნიშნავს ფასებს—რასაკვირველია ეს ფასები ყოველთვის ძლიერ დაბალია. ძალა-უნებურად პლანტატორი იძულებულია დაემორჩილოს ამ ფასებს—მას სხვა გზა არა აქვს გაყიდოს თავისი საქონელი, ტრესტი გზას უკრავს. იგივე ტრესტი ბრძანებს რამდენი და რა ხარისხის თამბაქო უნდა მოიყვანოს პლანტატორმა. ვინც კი მას არ დაუმორჩილდება ტრესტი შეუბრალებელია. იმ დროიდამ რაც ეს ტრესტი არსებობს მან გააკოტრა 27,000 სიგარის გამკეთებელი მრეწველი, 3,000—მეთამბაქო, 400 მეპაპიროზე და 60,000 წვრილი ვაჭარი. აბა რომელმა დევ-გმირმა ამოდენა ხალხზე გაიმარჯვა? მაგრამ ისიც მართალია, რომ არც ერთ ავაზაკს არ გააუბედურებია იმდენი ხალხი რაც ამ ტრესტს. რამდენი ოჯახი გააღარიბა მან? ყველა ტრესტის სინიდისზე აწევს ასეთივე ცოდვა: მათი წინამძღოლნი მდიდრდებიან ყოველ დღე, იმ დროს როდესაც მრეწველები რომელნიც მას არ ემორჩილებიან ილუპებიან საოცარი სისწრაფით.

რა შეუძლიათ წვრილ მრეწველებს, რომელთაც ბევრი ქონება არა აქვთ და ომს კი უცხადებენ მათ „მრეწველების ბატონები“, ამბობს ერთი ამრიკელი მწერალი. ტრესტმა დაიმორჩილა ყველა ცარგი მრეწველობისა და ვაჭრობისა. რა გინდ ზომები იხმარონ პატრონებმა, თუ დაღუპვა არ სურთ, უნდა დაემორჩილონ ტრესტს.

—

მანქანის შემოღებამ, მრეწველობის განვითარებამ და ქარხნების გამრავლებამ გაამდიდრა ის ქვეყნები, სადაც ჩვენ ვხედავთ ასეთ წინმსვლელობას. ჩვენ რო გავყოთ მთელი ინგლისის სიმდიდრე მცხოვრებთა რიცხვზე დავინახავთ რომ 1801 წელს თითო ინგლისელზე მოდიოდა 1400 მანეთი, ახლა კი 1900 წ. მოდის 3,000 მან. თითქმის ორჯერ მეტი. მაგრამ მართლა ასე კი არ მდიდრდება ყოველი მცხოვრები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებითაც არა, სიმდიდრემ თანასწორობა არ იცის. ძლიერ მდიდარ ქვეყნებში ათი ათასობით ცხოვრობენ ღატაკი მუშები, რომელნიც მთელ თავის სიცოცხლეს ქარხნებში ატარებენ და მაინც უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან. მდიდართა რიცხვი ამ ღარიბებთან შედარებით სულ მცირედია. მაგალითათ, ამერიკაში თითქმის ნახევარი მცხოვრებთა არაფრის მქონე არ არის. სულ მცირე ნაწილი მკვიდრთა კი—ასე ერთი მეასედს უჭირავს ხელში მთელი სიმდიდრე.

ადვილი წარმოსადგენია რა სიმდიდრის პატრონი უნდა იყვენ ეს ბედნიერნი, როდესაც ჩვენ ნათლათ დავინახეთ თუ რა ქონების შეძენა შესძლებია ადამიანს მანქანის შემწეობით. კრეზი და სოლომონი ძველი დროის სუყველაზე უმდიდრესი პირნი ღატაკები არიან ახლანდელ ამერიკელ „მრეწველების ბატონებთან“ შედარებით.

რა დიდი რამ არის მათთვის მილიონი? იგინი თავის ქონებას მილიარდებათ ითვლიან.

ჩვენ აქა ვთქვით თუ რა ქონება აქვს ფოლადის ტრესტს, და მისი უპირველესი პატრონი ხუთი კაცია მარტო.

„ნავთის მეფე“ როკფელერი ყოველ დილა იღვიძებს ასი ათასი მანეთით უფრო მდიდარი, ვიდრე დაწვა წინა ღამით.

„რკინის გზის მეფეს“. გილლს შეუძლია გაუჩერებლივ იმოგზაუროს ხუთმეტი დღე და ღამე საშინელის სისწრაფით, მარტო თავის რკინის გზებზე.

უთვალავი სიმდიდრე, რომელიც მოთავსებულია ამ ბედნიერთა შორის მათ აძლევს ისეთ ძალასა, რომელიც უწინდელ დროში მარტო იარაღით მოიპოვებოდა. მათ ნებაზე დამოკიდებულია ათი ათასი ოჯახი, რომელნიც მათ ქარხნებში მუშაობენ. მაგათ სურვილზეა დამოკიდებული გაძვირდება თუ არა ნავთი, შაქარი, ნახშირი და სხ. და სხ.

„დადგება ისეთი დრო, როდესაც შეუძლებელი იქნება ჩაცმა, დახურვა სმა-ჭამა თუ ყოველი ადამიანი არ გადაიხდის ხარკს, რომელიც რომელიმე „მეფის“ სასარგებლოთ წავა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელია ეს ძალა მდიდრისა ღარიბზე, მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მდიდარს მოაქვს დიდი სარგებლობა კაცობრიობისთვის, თუმცა ის ამაზედ სრულებით არა ფიქრობს.

გამდიდრებისათვის მას შემოაქვს ახალი მანქანები, არ ზოგავს ფულს რომ შეიძინოს ახალი გამოგონება, უახლოვდება ნასწავლ პირებს, რომ ისარგებლოს მათი მუშაობით; ის ხარბად ეძებს სად ჩასდოს თავისი კაპიტალი. აი ამ ძებნაში ადამიანი იმორჩილებს ბუნებას და ის ხდება „ბატონი და პატრონი დედა-მიწისა“.

ბევრი ადამიანის გამარჯვებაზე მოგვითხრობს ისტორია უძველეს დროიდამ დაწყობილი, მაგრამ არასოდეს ეს გამარჯვება ასეთი ძლიერი არ ყოფილა, როგორც ახლა კაპიტალის და მანქანის გამეფების შემდეგ. ყოველ დღე სულ ახალ-ახალ რამეს იძენს კაცობრიობა.

ყველა გამოჩენა და გამოკვლევა იმაზე არის მიმართული, რომ გააძლიეროს ადამიანის უფლება და იმოდენა სიმდიდრე შესძინოს მას, რომ ყველას ეყოს, აი როგორც ჰაერი ჰყოფნის ყველას.

ა. ფ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ხსოვნას

## ვ. მ. პეტრიაშვილისა*)

## და

## ივ. რ. თარხნიშვილისას.

სიკვდილმა წაგვართვა ამ ზაფხულს ორი ქართველი პროფესორი—მეცნიერების მკვლევველნი ვასილ პეტრიაშვილი და ივანე თარხნიშვილი.

ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის დიდი დანაკლისია ამისთანა დაკარგვა. ყმაწვილი კაცი როდესაც თავის სამშობლოში ვერ შეიძენს იმ ცოდნას, იმ მეცნიერებას, რომლისკენაც მიილტვის და ამ კაცს როდესაც კვლავაც მოსდევს ბუნებითი ძალა, რომ დაადგეს მეცნიერების გზას, მაშინ ის უნდა გამოვიდეს მსოფლიო ასპარეზზე და იწყოს მუშაობა მსოფლიო მეცნიერთა ჯგუფში.

ჩვენ რომ უნივერსიტეტი გვქონოდა, ესენი არ მოგვშორდებოდენ, იმუშავებდენ თავიანთ სამშობლოში და მსოფლიოთ სახელს მაინც გაითქვამდენ, როგორც მკვლევველნი—მეცნიერნი.

პირველი მათგანი, ვასილ პეტრიაშვილი, იყო ღარიბი სოფლის მღვდლის შვილი, მეორე ხელ-მოკლე თავადის შვილი. რამდენი შრომა, ჯაფა და დაბრკოლება დაუხვდებოდათ ამათ გზაზე, სანამ დაიჭერდენ საპატიო ადგილს რუსეთის მეცნიერთა შორის.

---

*) ვ. მ. პეტრიაშვილის სურათი თუმცა ვ. გუნიამ გვათხოვა, მაგრამ (ნაკადულის რედაქციამ) არ მოგვცა და ჩვენ ვერ მოვასწარით ახალი სურათის შეკვეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მოღვაწეობდა ოდესაში და იყო ქიმიის პროფესორი. ვასილ პეტრიაშვილის ნაწერები: მეღვინეობაზე, მერძეობაზე და სხვა უკვე დაბეჭდილია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ივ. თარხნიშვილი იყო აკადემიკოსი; ცხოვრობდა პეტერბურგში და მეცნიერებას შესძინა ბევრი ახალ-ახალი მეცნიერული გამოკვლევა. ორივენი ხშირად გადიოდენ სამზღვარ გარეთ და ჰქონდათ კავშირი სხვა ქვეყნების მეცნიერებთან.

ვასილ პეტრიაშვილი უფრო ახლოს იდგა სამშობლოსთან, ოჯახი და ნათესაობა აკავშირებდა მას ჩვენთან. იშვიათი და სამაგალითო გულის პატრონი იყო, ხელგაშლილობა სწორეთ მეფური ჰქონდა, ამიტომ მას გარშემო ეხვია მდიდარიც და ღარიბიც, ქართველიც და სხვა ტომიც. ის მთელი თავისი სიცოცხლე ოცნებობდა სამშობლოში მოღვაწეობას და ისე მოკვდა, რომ ვერ აისრულა თავისი სურვილი.

ამ ხუთმეტიოდე წლის წინეთ კახეთში მოგზაურობის დროს, როდესაც ყველანი პატივისცემით ეგებებოდენ მას, ღვინის ქარხნებს აჩვენებდენ და რჩევას კითხავდენ ღვინის დაყენებაზე მან მითხრა ნაღვლიანად: „რა ბედნიერი ვიქნებოდი აქ რომ დავსახლებულიყავ, უთუოდ სარგებლობასაც მოვუტანდი ჩვენებს, მაგრამ იქ, ოდესაში, მეცნიერული სამუშაო მაქვს, მსმენელები მყავს, რომელთაც ესაჭიროებათ ცოდნის მიწოდება და დახმარება“.

ბოლოს მოღალული, დაავათმყოფებული მოელტვოდა ჩვენკენ და იმედი ჰქონდა რომ შესძლებდა კიდევ სარგებლობის მოტანას საკუთრივ ჩვენი სამშობლოსთვის, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა მას გულის ნადები არ აუსრულა და სამზღვარ გარეთ, კარლსბადში, ანთებამ იმსხვერპლა.

აკადემიკოსი ივ. თარხნიშვილი კი ჩვენგან უფრო მოშორებით ცხოვრობდა და როგორც თავისი მეცნიერული გამოკვლევებით, ისეც პოპულიარული ლექციების კითხვით პეტერბურგში გაითქვა სახელი რუსთა მეცნიერთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. თარხნიშვილი ევროპაშიაც ცნობილია როგორც თანამედროვე მეცნიერი.

ივ. თარხნიშვილი ქართულ საზოგადო საქმეებს შორს უდგა, მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ როგორი ნასიამოვნი დარჩა იგი, როდესაც რამდენიმე წლის წინეთ ბრიუსელის კონგრესზე ქართველმა ქალმა ბარბარე ყიფიანმა წაიკითხა თავისი რეფერატი.

ამ გვარი პირების დაკარგვა არა თუ ჩვენთვის უფრო დიდ ქვეყნებისთვისაც დიდი დანაკლისია.



ივ. რ. თარხნიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგრამ უფრო მტაცებელ მხეცებათ უნდა ჩავთვალოთ, რადგან ვისაც კი მოერევიან არ ინდობენ. ამ ხასიათითაც ძრიელ განირჩევიან დანარჩენ მაიმუნებისაგან.

ამ მაიმუნების ერთად ერთ გვარს ეწოდება ჭაპალე. Hapalae. გვარის წარმომადგენლად ითვლებიან შემდეგი მსგავსნი:

1) **დომის სათამაშო**, Hapale.

2) **ვერცხლა მაიმუნა**, Hapale argentata. შესანიშნავია თავის გრძელი კუდით.

3) **უისტიტი**, H. yacchus. ანუ **საგუინი** ტანით 22—27 სანტ. სიგძეა, კუდი 30—35 სანტ. სიგძე აქვს, ჭრელია.

4) **თეთრშუბლა მაიმუნი**, H. penicillata. სიდიდით და ფერით ძრიელ ჰგავს საგუინს, მხოლოდ შუბლი აქვს თეთრი.

5) **პინჩი**, H. oediqus. ძრიელ პატარაა. ტანი მშვენივრათ აქვს ფერადებით აჭრელებული. ამის ხმა ძრიელ ემსგავსება ფრინველის ხმას.

ამით გავათავეთ აღწერა ამერიკელ მაიმუნებისა და როგორც ხედავთ ახალ ქვეყანაში სულ წვრილფეხობა დაგვიხვდა. ვერც ერთი მაიმუნი ვერ ვიპოვეთ გორილასთან და სხვა გოლიათ მაიმუნებთან შესადარებელი ან ტანადობით, ან სულის ძრიელებით.

საზოგადოთ, თუ რო ამერიკის ბუნება მეტად მდიდარია მცენარეთა განვითარებით და თუმცა ფლორით ყველა ქვეყნებს აღემატება, სამაგიეროთ ეს ვეღარ ითქმის ცხოველთა შესახებ. ამერიკა ვერ დაიკვეხებს იმისთანა ბუმბერაზ ცხოველებით როგორიცაა აზიელი ვეფხი და აფრიკელი ლომი ანუ სპილო, ბეჰემოტი, აქლემი და სხვ.

ამერიკის ბუნებას მართლაც და მთელი თავის ნიჭი და ძალ-ღონე მცენარეთა განვითარებისთვის და მათ სამშვენოთ მოუხმარია, მაგრამ როგორც შემდეგი წერილებიდან დავინახავთ, ამერიკის ფაუნასაც ჰყავს თავის შესანიშნავი, ორიგინალური წარმომადგენელნი, რომლის მსგავსს ძველ ქვეყნებში სრულებითაც ვერ შევხვდებით და ზოოლოგიურ მხრივაც დიდად საყურადღებო არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეორე რაზმი.

## **ნახევარ მაიმუნები**, Prosimi.

მეტი ნაწილი ბუნების მკვლევველ-მეცნიერებისა ამ ცხოველებს, რომლის აღწერასაც ეხლა შევუდგებით, წინეთ ნამდვილ მაიმუნებად სთვლიდნენ, ესენიც პირველ რაზმში იყვნენ მოქცეული, ახალ კვლევა-ძიებით მეცნიერებმა ისეთი ნიშნები აღმოაჩინეს ამ პატარა ცხოველებში, რო უეჭველად მოითხოვდა სისტემის შეცვლას და ამათგან ცალკე რაზმის შედგენას.

ოციოდე წლის წინეთ საზოგადოთ მაიმუნებს ოთხ ხელა ცხოველებს ეძახდნენ. ეს სახელი ზედგამოჭრილია ნახევარ მაიმუნებზე, რადგან ფეხებსა და ხელებში დიდი განსხვავება არა აქვთ. კბილების სისტემითაც დიდად განირჩევიან ნამდვილ მაიმუნებისაგან. სიდიდით ზოგი კატას უდრის, ზოგიც უფრო პატარაა დიდრონი თვალები აქვთ და განვითარებული ყურები.

სამშობლო ამ პატარა ცხოველებისა აფრიკაა, უმთავრესად მადაგასკარი და მისი მეზობელი კუნძულები, აგრეთვე ინდოეთი და სამხრეთ აზიისა დიდი კუნძულები. უყვართ ხშირი ხილნარიანი ტყეები, სადაც მთელ სიცოცხლეს ხეებზე ატარებენ. მეტი ნაწილი ღამის ცხოველებათ ჩაითვლებიან, რადგან ღამე ფხიზლობენ,—ხილს ჰკრეფენ, წვრილ ცხოველებზე ნადირობენ და მერე კი გათენებისას ღრმა ძილს ეძლევიან სადმე ხის ფუღუროში და იქ ძაფის გორგალივით შეხვეულნი გდიან ვიდრე შებინდდებოდეს. ადგილობრივი ხალხი ამ ცხოველებში ზოგიერთებს ცრუმორწმუნოებით შესცქერიან—ან აღმერთებენ, ან უბედურების მომასწავებლად სახავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი ოჯახი.

### **ლემურები**, Lemuridae.

### პირველი გვარი.

**ბაბაკოტო კუდმოკლე**, Lichanotus brevicaudatus. სიდიდით 85 სანტიმეტრია, აქედან უნდა გამოვრიცხოთ განუვითარებელი კუდის სიგძე 2,5 სანტიმეტრი.

**სონნერა** მოგვითხრობს, რომ ბაბაკოტო ძრიელ მალხაზი და მკვირცხლი ცხოველია, დიდის სიმარდით გადახტება ხოლმე ხიდან ხეზე; როცა რასმე სჭამს ციყვივით ზის ხის ტოტზე და ხელებით პირთან მიაქვს საჭმელი, რომელიც არის უმთავრესად ხილი, ბაბაკოტოს ხმა მოგვაგონებს ბავშვის ტირილის ხმას. ძალიან გულკეთილი და მშვიდი ხასიათისაა, ამიტომაც მადაგასკარელები სწურთნიან ბაბაკოტოს და სანადიროთ გეშავენ ისე, როგორც ჩვენ ძაღლებს ვწურთნით. ბაბაკოტოს თითონაც უყვარს ზოგჯერ ფრინველის ტვინის გამოწუწნა, ყელის ჩაკოკლოზინება·

### მეორე გვარი.

### **ნამდვილი ლემურები**, Lemur.

1) **ვარი**, Lemur Varis. ტანით დიდი კატის ტოლაა და შემოსილია შავ და თეთრ ბეწვით.

2) **კატტა**, Lemur catta. შესანიშნავი გრძელი კუდი აქვს თეთრ და შავ ფერად სალტეებსავით აჭრელებული.

3) **მონგოცი**, Lemur monqoz.

4) **მაკაკო**, Lemur macoco. მამალი მაკაკო თითქმის სუ მთლად შავი ფერისაა.

ოთხივენი სცხოვრობენ მადაგასკარის ტყეებში. დღისით ტევრებში სძინავთ და მერე მზე ჩავა თუ არა მთელი ღამე მაღალი ხმით ყვირიან და ხიდან ხეზე გადადიან ხილის მოსაკრეფათ, ძრიელ უყვართ გარეული ინდის ხურმა და გაფაციცებული დაეძებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს ნახევარი მაიმუნები ტყვეობას ადვილად იტანენ. ერთმა **ვარიმ** 19 წელიწადი იცოცხლა პარიზის ზოოლოგიურ ბაღში. ძრიელ უყვარდა ბუხარი,—ხელებს ითბობდა ცეცხლზე და ზოგჯერ ცხვირიც ისე ახლო მიჰქონდა რომ ულვაშები ეტრუსებოდა.

## მესამე გვარი.

### **ლორები**, Stenops.

**ტანწვრილი ლორი**, Stenops qratlis. სასიამოვნო რამ სანახავია, სიდიდით არ აღემატება ციყვს სულ 25 სანტიმეტრი სიგძეა. ტანზე გამხდარია ცხვირ გამწვეტებულ თავზე დიდრონი თვალები ნაკვერჩხალივით ენთებიან.

სცხოვრობს ინდოსტანში ვიდრე ცეილონის კუნძულამდე, ადგილობრივ **ტევანგუს** ეძახიან. დღისით ხის ფუღუროში სძინავს, სანადიროთ ღამე გამოდის და თვალებს იმდენათ აბრიალებს, რო თითქმის ორივე თვალები უერთდება.

გარეულად ძრიელ ნაკლებ არის შესწავლული. სრულებით შემთხვევით ერთხელ თითონ ბრემმა ევროპაში ზოოლოგიურ ბაღში შენიშნა ეს ცხოველი და მაშინათვე დიდის სიხარულით იყიდა. ინახავდა გალიაში და დიდის ყურადღებით უვლიდა.—უფრო რძესა და ბულკს სჭამდა.

---

**ტანმსხვილი ლორი ანუ შარმინდი—ბილლი**, როგორც ინდოელები ეძახიან, Stenops tardigradus. სცხოვრობს მთელ ოჯახობით ინდოეთის ტყეებში: მდინარე ბრამაპუტრას ქვემო ნაწილის კიდეებზე, აგრეთვე ნახავთ სუმატრაში, იავაზე და ბორნეოში. დღისით სძინავს ხის ფუღუროში და ღამე ნადირობს.

ტანად სქელია და უფრო მსხვილიც, ვიდრე ტანწვრილი ლორი—ტანის სიგრძე **32—37** სანტ. მოკლე კუდი 2 სანტ. ძლივს ექნება. თვალების გარშემო ყოველთვის შემოვლებული აქვს მუქის ფერი რგოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯერ არ არის საკმაოდ შესწავლილი.

შესანიშნავი იმითაა, რომ თუ გაუჭირდა ხეზე აღმაც აძვრება ხოლმე ე. ი. თავდაყირა ჩაკიდული აღმა მიძვრება, ხეზე ადის უკან-უკან აწევით. ბრემი ამბობს: სხვა არა ცხოველისთვის არ შეგვიმჩნევია მოძრაობაში ამ გვარი ხერხიო.

## მეოთხე გვარი.

**დიდყურა ლემურები,** Otolicnus. ესენიც სცხოვრობენ აფრიკაში. სიდიდით ზოგი თაგვის ტოლაა, ზოგი ვირთაგვისა, ხოლო უდიდესი ციყვის ტოლაა. მეცნიერებაში უფრო ცნობილია:

1) **ჩვეულებრივი გალაგო** ანუ **თენჯი,** როგორც აფრიკელი ზანგნი უძახიან: Otolcnus galago. ძრიელ ლამაზი ცხოველია, სიდიდით ციყვის ოდენაა. **ადანსონმა** აღმოაჩინა ტყეებში, სენეგამბიის მდინარეებთან. შემდეგში მოგზაურებმა აღმოაჩინეს სამხრეთ აფრიკაში და სუდანში. ბრემი ამბობს: ამ ადგილებში მეც რამდენჯერმე შემხვდა, უფრო კი თეთრ ნილოსის დასავლეთით, სახელდობრ კორდოფანში. უყვართ ეკლიან მიმოზის ტოტებზე ხტუნვა. ცხოვრობენ წყვილ-წყვილად.

გალაგოც ღამის ცხოველია. თუ დღისით ძილი დაუფთხო ვინმემ. ხეების ტოტებზე მარდად დაძვრება, მაგრამ დამფთხალივით როდი გარბის. შესანიშნავია კიდევ იმით, როდესაც ძილს ემზადება თავის დიდ ყურების ბიბილოს მთლად ყურში იცობს და ისე კუმშავს რო არც კი ეტყობა ყურები. ამით გალაგო ყურთა სმენას იყრუებს, რომ უკეთ დაიძინოს დღის ხმაურობაზედაც-კი. ამბობენ ამ ნახევარ მაიმუნებს ძრიელ უყვართ მიმოზას კევიო (გომიზი), თუმცა ეს მართალი აღმოჩნდა, მაგრამ საჭმელად მაინც მწერებს უფრო ეტანებიან.

2) **კომბა,** Otolicnus agisgmbanus. ტანით გალაგოზე დიდია. სცხოვრობს ზანზიბარის კუნძულზე. თუმცა დიდ ცხოველების სისხლის წოვნა უყვართ, მაგრამ უფრო ლოთობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ამოსდით სული. ტკბილს ლეღწმის წვენს სწუწნიან ვიდრე კარგა იჯერებენ გულს, ამით ითრობიან, იზნიდებიან და ხიდან პანტი-პუნტით ძირს ცვივიან. დილა ადრიანათ ზანგები მიდიან ტყეში და ამ პაწია ცხოველებს სოკოსავით ალაგებენ გალიაში. გამოფხიზლებული დიდყურა კომბა საბაზროდ ხდება და აქ სიამოვნებით ყიდულობენ ევროპიელები, რადგან გამოცდილებით იციან, რო სადაც კომბა დასახლდება იქ თაგვი ველარ გაიჭაჭანებს.

## მეორე ოჯახი.

### ნახევარ მაიმუნებისა.

### ერთად-ერთი გვარი.

### **ქუსლ-გრძელები**, Tarsidae.

**ქუსლ-გრძელა მოჩვენება,** Tarsius spectrim. დიდი ბურთივით მრგვალი, მხრებში ჩამჯდარი თავი აქვს მოკლე კისრით და ბაყაყის სახე; ხელები ძრიელ მოკლე და ფეხები კი ძრიელ გრძელი, კუდი ტანზე უგრძელესი—აი ამ გარეგანი ნიშნებით ძრიელ განირჩევა ზემოდ აღწერილ ნახევარ მაიმუნებთაგან. კბილების სისტემითაც ძრიელ განირჩევა, უფრო მწერი-ჭამია ცხოველების კბილებს უგავს, ყურები ტიტველი აქვს და უშველებელი ყვითელი თვალები. ტანთან შედარებით ამოდენი თვალები არც ერთს ძუძუმწოველს არა აქვს, ფეხის თითების ფრჩხილის ქვეშ რბილი (ნება) მეტად განვითარებული აქვს—ბაყაყის თითებს უგავს.

სიდიდით 40 სანტ. და ისიც ნახევარზე მეტი სიგრძე კუდს ეკუთვნის. სცხოვრობს მალაის კუნძულებზე, სამირის ტყეებში. ადგილობრივ ხალხს ძრიელ ეშინიანთ ამ პაწია ცხოველისა, ჯადოსან ეშმაკეულად სახავენ და მართლაც რო საშინელი თვალები აქვს და უცნაური ტანის აგებულობა.

დღისით სძინავს, ღამე სცხოვრობს, საჭმელად უფრო ძრიელ უყვარს მწერები. ტყვეობას ვერ იტანენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მესამე ოჯახი.

### **ხელფეხიები**, Leptodactyle.

ერთად ერთი გვარი **ხელფეხია**, (Chiromys). მეცნიერმა მოგზაურმა სონნერამ 1782 წელს აღმოაჩინა მადაგასკარის კუნძულის დასავლეთ კიდეზე. თვით ადგილობრივ მცხოვრებლებმაც-კი არ იცოდნენ, რომ იმათ ტყეში ეს პაწია მხეცი სცხოვრობდა, გაკვირვების ნიშნად სუ,—„აიე, აიე“-ს იძახოდნენ და სონნერამაც ეს სახელი უწოდა.

**ოუენას** და **პეტერსის** გამოკვლევით **აიე—აიე** ანუ ხელფეხია შეადგენს არამც თუ ცალკე გვარს, არამედ ცალკე ოჯახს ნახევარ მაიმუნთა რაზმისას.

სონნერას მიერ ევროპაში მოყვანილი აიე—აიე ერთათ ერთი-ღა იყო და ამოწყვეტილად ეგონათ კიდეც ამათი გვარი. მაგრამ 1844 წ. მოგზაურს დე-კასტელოს ბედათ ხვდა ამ ცხოველის კიდევ ერთი ცალის პოვნა, რომელიც პარიზის ზოოლოგიურ მუზეუმს შესწირა, მაგრამ საუბედუროდ გზაზე მოუკვდა, მუზეუმს მხოლოდ მისი ტყავი და ჩონჩხიღა ერგო. შემდეგში 1862 წ. ლონდონის ზოოლოგიურმა საზოგადოებამ იშოვა ორი ცალი აიე—აიესი. ერთი გზაში მოკვდა, სპირტში ჩადებული მოიტანეს, მეორემ კი ცოცხალმა უწია ლონდონს მეცნიერთა სასიხარულოდ. ლონდონში ზოოლოგიურ ბაღში მცხოვრებ აიე-აიეს 1863 წ. ბრემიც ეწვია სანახავათ, მაგრამ ჩვის რო მის შესასწავლად ერთი საღამოს მეტი დრო არა მქონდაო. ამ მოკლე ხნის დაკვირვებამ და იმ ცნობებმა, რომელნიც „სტოროჟებს“ გამოჰკითხა, ბრემი დაარწმუნა რამდენად სრული არ იყო სონნერას აღწერა.

ამ პატარა მხეცს სქელს და განიერ თავს დიდი ყურები აბია; გამობურთული, უძრავი თვალები ნაკვერჩხალივით ენთება; თვალის გუგა უფრო პატარა აქვს, ვიდრე ღამის მაიმუნებს; დინგი თუთიყუშის ნისკარტს მიუგავს და კუდი მელიას. ხელებიც უცნაური აგებულობისა აქვს და თანაც შუა თითი ისეთია, თითქოს ზედ შემხმარაო. აიე—აიე ნამდვილად ღამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოველია, რადგან ამას უფრო ძრიელ ეშინია მზის სინათლისა, ვიდრე სხვა ცნობილ ღამის ცხოველებს. ღამის მაიმუნი დღისით ძილისაგან რო გამოაღვიძო. თუმცა ძრიელ შეკრთება, მაგრამ შემდეგ კი ნელ-ნელა გამოირკვევა ხოლმე, აიე—აიეს კი თუ ძილი დაუფთხე ვერას გზით ვერ გამოაფხიზლებ ისევ ძალზე მიიწევს ხვრელისკენ.

ბუნების მკვლევარი **პოლენი**, რომელმაც 1868 წ. აიე—აიე ადგილობრივ მადაგასკარის ტყეში ათვალიერა, მოგვითხრობს: „მეცნიერულის მხრით ამ შესინიშნავ ცხოველს, უყვარს ცხოვრება დიდი კუნძულის შუაგულს, ბამბუკის ტყეებში. უმთავრესად სჭამს ბამბუკის და შაქრის ლერწმის ღეროების გულს, მაგრამ არც ხოჭოებს (ЖУКЪ) იწუნებს. დღის სინათლეს ღრმა, გაბმულ ძილში ატარებს, თავს ფეხებს შუა მალამს და ზევიდანაც კუდს იბურამს. სამაგიეროდ შეღამდება თუ არა წამოხტება და არბის-ჩარბის ხეებზე, ტოტიდან ტოტზე შარდათ ხტება. ამ დროს არც ერთს ხეს არ დასტოვებს დაუხილავს სად ქერქის ნაპრალში ხოჭოს მატლს მოსუსნამს, სად თვით ხოჭოს ჩაახრამულებს და ასე რიჟრაჟამდე შეუსვენებლივ მოძრაობაში არის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯეჯილი

## საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

(მეთვრამეტე წელიწადი)

### მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: ტარებისათვის და მოზრდილ ყმაწვილებისათვის. თითო წიგნში იქნება არა ნაკლებ ოთხამდე ფურცელი, ანუ 64 გვერდი.

**ჟ უ რ ნ ა ლ ი „ჯ ე ჯ ი ლ ი“**

თბილისში ღირება 4 მან. ქალაქ გარეთ გაგზავნით 5 მ.
ნახევარი წლით . . 2 „ ცალკე ნომერი . . . . —40 კ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** ნილ. მღვდლიევისას და წიგნის მაღაზიას „კოლხიდა“. **ბათუმში** წიგნის მაღაზიას „მეგობარი“, **ოზურგეთში** წიგ. მაღ. „იმედი“, დაბა **ხონში** მასწ. გ. ბოკერიას, **ახალსენაკში** წიგ. მაღ. „სინათლე“, **სამტრედიაში** გ. ფოცხვერიას, **ყვირილაში** წიგ. მაღ. ალ. ბაჩეჩილაძეს, **ბაქოში** ქართ. თეატრში ი. თედეშვილს, **ჭიათურაში** ვ. მოსეშვილს.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხვის საზანცელარიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტის კორპუსის გვერდით.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

„ჯეჯილის“ სრული 16 წლის გამოცემა (რომელიც შეადგენს 140 წიგნზე მეტს), ღირება გაგზავნით სხვადასხვა ქალაქებში 30 მ. თბილისში სასწავლებლებს, რომელნიც რედაქციიდან თითონვე წაიღებინებენ, დაეთმობათ 25 მ. ცალ ცალკე წლების „ჯეჯილები“ თითო წლისა ღირება 2 მ.

რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

ი 414/1

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.**

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გა-
ზეთი

# ამირანი

**გაზეთი ღირს:**

| ერთის წლით: | | ნახევარის წლით: | |
|---|---|---|---|
| თფილისში. | 6 მ. 50 კ. | თფილისში. | 4 მ. — კ. |
| საზღვარ-გარედ. | 7 „ | თფილისის გარედ | 4 „ 50 „ |
| საზღვარ-გარედ | 12 „ — „ | საზღვარ-გარედ | 6 „ — „ |

ერთის თვით:

თფილისში. — 75 კ. თფილის გარედ — 80 კ. საზღვარ-გარე 1 მ. 50 კ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

ფოსტის ადრესი Тифлисъ, редакція газ. „АМИРАНИ“.

---

## მიიღება ხელის მოწერა

# 1908 წლის

# ჯეჯილზე